

ზურაბ ძლიერბერიძე



# უღაპო წარმოება



ზურაბ კლიერიშვილი



# უღავტო წარმოება

(საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის მიხედვით)

გამომცემლობა «მერიდიანი»

თბილისი 2000

საქართველოს ენციკლოპედია  
საქართველოს ენციკლოპედია

67.99(2Γ)  
.47(479.22)  
ა. 651



ნაშრომში საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე განხილულია სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთი სახე – უდავო წარმოება.

ნაშრომი წარმოადგენს მეორე გადამუშავებულ გამოცემას, განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პრაქტიკოს მუშაკთათვის.

რედაქტორი პროფ. რ. შენგელაია  
რეცენზენტები: პროფ. ზ. აბელედიანი,  
დოც. ნ. ლორთქიფანიძე.

K 272. 777  
3

- © თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998
- © ზ. ძლიერიშვილი, 1998
- © გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000

ISBN 99928-22-18-7



საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1. უდავო წარმოების წესით განხანძრულ საქმეთა ზოგადი დასასიათება



საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 14 ნოემბერს შიილო ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც შედგება თერთმეტი კარისა და 438 მუხლისაგან. კოდექსის მეექვსე კარი ეთმობა სამოქალაქო სამართალწარმოების ისეთ სახეს, როგორცაა უდავო წარმოება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს:

- ა) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ;
- ბ) მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;
- გ) მოქალაქის ქმედუნაროდ და შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ;
- დ) დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაღდსა და საორდურო ფასიან ქალაღდზე უფლების აღდგენის შესახებ;
- ე) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ;
- ვ) საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციის შესახებ;
- ზ) შეილად აყვანის შესახებ.<sup>1</sup>

უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის საჭიროება წარმოიშობა არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს უფლებები და ინტერესები ირღვევა ან სადავო ხდება, არამედ ზოგჯერ წარმოიშობა იმ გარემოებათა დადგენის საჭიროებაც, რომელიც წარმოადგენს ამ უფლებათა განხორციელების საფუძველს. პირს, რომელსაც გააჩნია რაიმე უფლება, არ შეუძლია განახორციელოს იგი იმასთან დაკავშირებით, რომ ის ფაქტები, რომელიც ადასტურებს ამ უფლებას, არ არის

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, გამოცემილია „სამართალი“, თბილისი, 1998 წ.

თვალნათელი და მოიხსოვს შესაბამისი მტკიცებულებების მეშვეობით შემოწმებასა და დადასტურებას. ამიტომაც სამოქალაქო პროცესში გვაქვს სამართალწარმოების ისეთი სახე, რომელიც დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს სასამართლო წესით დაადგინოს ის იურიდიული ფაქტები, რომელიც დაინტერესებული პირის შესაბამისი უფლებების განხორციელების საფუძველია.

ამ გარემოებაზე დაყრდნობით უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1985 წლის 21 ივნისის N 9 დადგენილებაში „იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მიუთითა, რომ ასეთი მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების გამოტანა ხელს უწყობს მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში მოქალაქის მატერიალური უზრუნველყოფის უფლების განხორციელებას, ასევე საკუთრების უფლების, მემკვიდრეობის უფლების, სხვა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების განხორციელებას, რომელიც წარმოიშობა სამოქალაქო, საოჯახო, შრომითი და სხვა ურთიერთობებიდან<sup>1</sup>.

ასე მაგალითად, გარდაცვლილის კმაყოფაზე პირის ყოფნის ფაქტის დადგენა უძრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს პენსიის, სამკვიდროს მიღების საფუძველს. ამასთან, თუკი პირს არ გააჩნია უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს, მაშინ ასეთი ფაქტი შეიძლება დადგენილ და დადასტურებულ იქნეს სასამართლო წესით.

უდავო წარმოების წესით განიხილება მოქალაქეთა და ორგანიზაციათა (იურიდიული პირები) განცხადებები იმ ფაქტების დადგენის შესახებ, რომლებსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვთ, ასევე იმ გარემოებების დადგენის შესახებ, რომლებზეც დამოკიდებულია დაინტერესებული პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, ან უდავო უფლების დადასტურება. უდავო წარმოება — ეს ისეთი წარმოებაა, რომელშიაც არ არის დავა

<sup>1</sup> საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი №9, 1985 წ.

უფლებაზე, როცა არ არის ერთი პირის მიერ მეორისადმი მიმართული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დავას ფაქტის შესახებ, რამეთუ თუკი ფაქტებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა სხვა პირებისათვის, მაშინ უაზრო, უსავნო იქნებოდა ამ საქმეებში დაინტერესებული პირების მონაწილეობა.

ამიტომაც, უდავო წარმოება შეიძლება ჩავთვალოთ უდავოდ, მხოლოდ იმ მხრივ, რომ მასში არა გვაქვს უფლების შესახებ დავა, რომელიც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში დგინდება ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები.

ზემოთ აღნიშნული საქმეების გარდა, უდავო წარმოების წესით განიხილება ასევე ზოგიერთი საქმეც, რომლებზეც მითითებული არ არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში. ასე მაგალითად, უდავო წარმოების წესით განიხილება გამოჯანმრთელებული მოქალაქისათვის ქმედუნარიანობის სრული მოცულობით აღდგენისა და ქმედუნარიანობის შეზღუდვის გაუქმების შესახებ საქმეები. უდავო წარმოების წესით ხდება მამობის დადგენა იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვის სავარაუდო მამა გარდაიცვალა. არსებობს ორი კატეგორიის საქმეები – ესაა მამად ცნობის ფაქტის დადგენა და მამობის დადგენა<sup>1</sup>. უდავო წარმოების წესით შესაძლებელია ასევე პაის ფლობის ფაქტის დადგენა, ავტომანქანის ან სხვა იმ ქონების ფლობის ფაქტის დადგენა, რომელმაც უნდა გაიაროს სპეციალური რეგისტრაცია ერთ-ერთი მუდლის გარდაცვალების შემთხვევაში, რომლის სახელზეც იყო რეგისტრირებული მოცემული ქონება და სხვ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია XXXV-XLII თავებით.

<sup>1</sup> უფრო დეტალურად იხ. „Особенности рассмотрения отдельных категорий гражданских дел“, под редакцией М.К. Треушникова м. 1995 стр. 275.

თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად ტოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე<sup>1</sup>.

უდავო წარმოების ყველა საქმეს სასამართლოები განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების ზოგადი წესების იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია კანონით და წარმოადგენს მოცემულ საქმეებზე სამართალწარმოების სპეციფიკას.

უდავო წარმოება განუყოფლადაა დაკავშირებული სამოქალაქო სამართალწარმოების სხვა დანარჩენ (სასარჩელო, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი და ა.შ. საქმეები) სახეებთან, ეფუძნება პროცესის იმ ზოგად პრინციპებს, რომელიც განსაზღვრავს საქმეთა განხილვის წესს. უდავო წარმოების საქმეები გადიან საქმის განხილვის იმავე სტადიებს, როგორც ყველა სხვა დანარჩენი სამოქალაქო საქმეები. უდავო წარმოების წესით განსაზღვრულ საქმეთა წარმოების დროს მოქმედებს პროცესის ისეთი პრინციპები, როგორიცაა: მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს მიერ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, საქმის განხილვის საჯაროობა და სხვა. საქმის სასამართლო განხილვის სტადიაში მოქმედებს ზეპირობის, უწყვეტობისა და უშუალობის პრინციპები.

იმასთან დაკავშირებით, რომ უდავო წარმოებაში არა გვყავს ურთიერთდაპირისპირებული მხარეები და არ არსებობს დავა უფლებაზე, აქ უმნიშვნელოდ მელანდება შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება.

უდავო წარმოების წესით განსაზღვრული საქმეებისათვის დამახასიათებელია მტკიცებითი სამართლის ინსტიტუტების მოქმედება, თუმცა, ამასთან, არსებობს ზოგიერთი თავისებურებანიც. ასე მაგალითად, მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ საქმის განხილვისას, მოსამართლე, სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების წესით,

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998 წ.

საკმარისი მონ. უმების არსებობისას, დანიშნავს საკმარისი ფსიქიკური ატრიულ ექსპერტიზას ამ მოქალაქის ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე მისი ქმედუნაროდ აღიარების შესახებ, აშკარად თავს არიდებს საექსპერტო შემოწმებას, სასამართლოს სხდომაზე ფსიქიატრის მონაწილეობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზისათვის მოქალაქის იძულებითი გაგზავნის შესახებ.

უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმის აღძვრა ხდება არა კონკრეტული მოპასუხისადმი სარჩელით მიმართვით, არამედ განცხადების შეტანის გზით, რომელიც შეიცავს სასამართლოსადმი მიმართულ თხოვნას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დადგენის, ანდა უდავო უფლების დადასტურების შესახებ. განცხადების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სსსკ 178-ე მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, უდავო წარმოების წესით განსახილველ კონკრეტულ საქმეებზე განცხადების შინაარსს წაყენება თავისი მოთხოვნები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა. ძირითადად ეს განპირობებულია განსახილველი საქმის სპეციფიკით. მაგალითად, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადებაში, ასევე მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადებაში უნდა აღნიშნულ იქნეს ის მიზანი, რის მისაღწევადაც ისწრაფვის განმცხადებელი. უდავო წარმოების წესით განსახილველ სხვა საქმეებზე განცხადების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სსსკ 323-ე, 329-ე, 343-ე, 350-ე მუხლების მოთხოვნებს.

სსსკ ნორმები, რომელიც შეიცავს მოთხოვნებს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი (კანონიერება და დასაბუთებულობა), სასამართლო განჩინებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება, ვრცელდება ასევე უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებზეც. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა და ამით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები მოქმედებს სრული მოცულობით. უდავო წარ-



მოების წესით განსახილველი ცალკეული კატეგორიის საქმების თაობაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების თავისუფლება მოცემულია სსსკ 316-ე, 320-ე, 326-ე, 335-ე, 341-ე, 346-ე, 351-ე მუხლებში და მხოლოდ ერთი შემთხვევა „ვარდება“ ზოგადი წესიდან: სსსკ 321-ე მუხლის შესაბამისად, უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში არ არსებობს მხარეთა ინსტიტუტი, არ არიან მოსარჩელე და მოპასუხე, შესაძლებელია, არ არის სარჩელი და უფლების დაცვის სასარჩელო ფორმისა და დამახასიათებელი ინსტიტუტები, არ შეიძლება შეგებებული სარჩელის წაყენება, მორიგება. უდავო წარმოებაში არ მოქმედებს ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა: სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის აღიარება, სარჩელის უზრუნველყოფა.

რამეთუ უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში არ არიან მხარეები და, მაშასადამე, არც მოსარჩელეა, ამიტომაც იმ პირს, რომელიც მიმართავს სასამართლოს განცხადებით, ეწოდება განმცხადებელი და არა მოსარჩელე. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში მონაწილეობას ღებულობენ დაინტერესებული პირები. დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ პროცესის ის მონაწილეები, რომელთა უფლებებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილმა სასამართლო გადაწყვეტილებამ. პროცესის ეს მონაწილეები ამიტომაც დაინტერესებულები არიან საქმის სწორად გადაწყვეტით. დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები, რომლებმაც უარი განაცხადეს ჩანაწერში ცვლილების შეტანაზე, სოცუზრუნველყოფის ორგანოები კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ საქმეებზე და სხვა.

დაინტერესებულ პირთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე პროცესის ისეთი მონაწილენი, როგორიცაა დაკარგული საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის ხელთმქონე გამოწვევითი წარმოების

დროს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები და სხვა.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეში დაინტერესებული პირების ჩაბმა ხორციელდება განმცხადებლის თხოვნით სასამართლოს განჩინებით, რომელშიც მოცემულია საქმის გარემოებებით განსაზღვრული საფუძვლები.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს აგრეთვე იმაშიც, რომ ცალკეული საქმეებისათვის კანონი ადგენს განსჯადობის სპეციალურ წესებს. მაგალითად, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გამონაკლისია განცხადება საკუთრების უფლებით უძრავი ქონების ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც შეიტანება სასამართლოში უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით (ნივთობრივი განსჯადობა). განცხადება მოქალაქის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შეიტანება სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ, განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე. უდავო წარმოების საქმეთა ეს არსებითი თავისებურება გამოხატულია სსსკ 311-ე მუხლის მე-2 ნაწილში და დიდი მნიშვნელობა აქვს საქმეთა განხილვის პრაქტიკისათვის.

## II. უდავო წარმოების წესით განსახილველი ცალკეული კატეგორიის საქმიანობა

ეროვნული

### 1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა

სსსკ 312-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომელზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. სასამართლო განიხილავს საქმეებს:

- ა) პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ;
- ბ) პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ;
- გ) დაბადების, შეილაღ აყვანის, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტების დადგენის შესახებ;
- დ) უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს;
- ე) საკუთრების უფლებით ნიეთის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ;
- ვ) უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენის შესახებ;
- ზ) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ უარი თქვა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე;
- თ) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გაზნის ადგილის დადგენის შესახებ;
- ი) იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების დადგენის შესახებ, თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მათი დადგენის სხვა წესს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998 წ.

მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა დამოკიდებულია იურიდიულ ფაქტებზე. მოცემული ფაქტები დასტურდება მტკიცებულება შესაბამისი დოკუმენტებით (სხვადასხვაგვარი მოწმობებით, ცნობებით, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერებით და ა.შ.); ამასთან, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის იურიდიული ფაქტი შეუძლებელია დადგინდეს შესაბამისი დოკუმენტით იმ მიზეზით, რომ ეს დოკუმენტი დაიკარგა, შეუძლებელია მისი აღდგენა, ანდა სხვა მიზეზის გამო. კანონით გათვალისწინებულია იურიდიული ფაქტების დადგენის სასამართლო წესი (სსსკ 312-316-ე მუხლები).

მოსამართლეებს შეუძლიათ მიიღონ წარმოებაში განცხადებები იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ და განიხილონ ისინი უდავო წარმოების წესით, თუკი: ა) კანონის თანახმად ასეთი ფაქტები იწვევს იურიდიულ შედეგებს (მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა); ბ) ფაქტის განხილვა არ არის დაკავშირებული სასამართლოსადმი ქვემდებარე უფლების შესახებ დავის შემდგომ გადაწყვეტასთან; გ) განმცხადებელს არ გააჩნია იმ დოკუმენტების მიღების ან აღდგენის სხვა შესაძლებლობა, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს; დ) მოქმედი კანონმდებლობით არ არის დადგენილი მათი დადგენის სხვა (არასასამართლო) წესი.

იმ შემთხვევაში, თუკი ხდება სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვა იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტის დადგენის შესახებ, სასამართლომ უარი უნდა განაცხადოს განცხადების მიღებაზე სსსკ 186-ე მუხლის თანახმად. თუკი ასეთი განცხადება სასამართლომ შეცდომით მიიღო და მასზე დაიწყო სასამართლო განხილვა, ასეთ შემთხვევაში სასამართლომ საქმე უნდა შეწყვიტოს სსსკ 272-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ არ მიიღება და არ განიხილება სასამართლოს მიერ იმ შემთხ-

ვევაშიაც. თუკი მოცემული ფაქტის დასადგენად არსებობს არასასა-  
მართლო წესი (მაგალითად, ადმინისტრაციული). ასეთ შემთხვევაშიც  
სასამართლო უარს ამბობს განცხადების მიღებაზე სსსკ 272-ე მუხლის  
თანახმად.

სსსკ 312-ე მუხლის „ა“ პუნქტი ითვალისწინებს სასამართლოს  
მეშვეობით პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენას. მოცემული  
ფაქტი ექვემდებარება სასამართლო წესით დადგენას ყველა იმ შემთხ-  
ვევაში, როდესაც ეს უშუალოდ იწვევს იურიდიულ შედეგებს (მაგალ-  
ითად, თუკი განმცხადებელს ასეთი ფაქტის დადასტურება ესაჭიროება  
მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მისაღებად, პენსიის მისაღებად მარ-  
ჩენალის დაკარგვის შემთხვევაში და სხვა).

უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1985 წლის 21 ივნისის N 9  
დადგენილებაში მითითებულია სასამართლოს მიერ უდავო წარმოების  
წესით პირთა ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენის შესახებ განცხა-  
დების მიღების დაუშვებლობაზე, თუკი განმცხადებელი შემდგომში მიზნად  
ისახავს საბინაო ფართზე უფლების დადასტურებას. თუკი დაინტერესე-  
ბულ პირს უარი ეთქვა საბინაო ფართზე მისი უფლების დაკმაყოფილების  
თაობაზე, მაშინ მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი სარ-  
ჩელით და არა განცხადებით.

უფრო ხშირად ნათესაური კავშირი დგინდება პენსიის ან მემკვი-  
დრეობის უფლების მოწმობის მიღების მიზნით.

სსსკ 321-ე მუხლის „ბ“ პუნქტი ითვალისწინებს სასამართლოს  
მეშვეობით პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესაძლებლო-  
ბას. აღნიშნული ფაქტის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს სამკვიდროს  
მისაღებად, პენსიის დასანიშნად, ანდა ზიანის ასანაზღაურებლად.

გარდაცვლილის კმაყოფაზე პირის ყოფნის ფაქტი დასტურდება  
შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით. ასეთი  
დოკუმენტების არარსებობისას ან მათი აღდგენის შეუძლებლობის შემთხ-  
ვევაში კმაყოფაზე ყოფნის შესახებ ფაქტის დადგენა ხდება სასამართ-  
ლო წესით.

მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში მის კმაყოფაზე ყოფნის შესახებ

ფაქტის დადგენისას, რომელიც საჭიროა პენსიის დასანიშნად, აუცილებელია მხედველობაში მიღებულ იქნეს, რომ პენსიის მიღების უფლება აქვთ გარდაცვლილის ოჯახის იმ არაშრომისუნარიან პირებს, რომლებსაც მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ.

მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში ოჯახის არაშრომისუნარიან წევრებს, რომლებსაც აქვთ პენსიის მიღების უფლება, მიეკუთვნებიან: ა) შვილები, ძმები, დები და შვილიშვილები, რომლებსაც არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკისათვის, ანდა ამ ასაკზე უფროსებიც, თუკი ისინი დაინვალიდნენ 18 წლის ასაკამდე; ძმებს, დებსა და შვილიშვილებს აქვთ პენსიის მიღების უფლება, თუკი მათ არ ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები; ბ) მამა, დედა და მეუღლე, თუკი მათ მიაღწიეს შემდეგ ასაკს: მამაკაცებმა - 65 წელს, ქალებმა - 60 წელს, ანდა არიან ინვალიდები; გ) მეუღლე ან ერთ-ერთი მშობელი ანდა პაპა, ბებია ასაკისა და შრომისუნარიანობის მიუხედავად, თუკი იგი უკლის გარდაცვლილი მარჩენალის 14 წლის ასაკს მიუღწეველ შვილებს, ძმებს, დებს ან შვილიშვილებს და არ მუშაობს; დ) პაპა და ბებია - იმ პირების არარსებობისას, რომელიც კანონის თანახმად ვალდებული არიან არჩინონ ისინი.

კმაყოფაზე ყოფნის შესახებ ფაქტის დადგენისას მხედველობაშია მისაღები, რომ გარდაცვლილის ოჯახის წევრები ითვლებიან მის კმაყოფაზე მყოფ პირებად, თუკი ისინი იმყოფებოდნენ მის სრულ კმაყოფაზე ანდა ღებულობდნენ მისგან დახმარებას, რომელიც მათი მუდმივი და ძირითადი საარსებო წყარო იყო.

იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელს გააჩნია ხელფასი, ღებულობს პენსიას, სტიპენდიას და ა.შ. საჭიროა გაირკვეს, იყო თუ არა მარჩენალის მხრიდან დახმარება განმცხადებლის მუდმივი და ძირითადი საარსებო წყარო. თუკი ასეთი დახმარება წარმოადგენდა განმცხადებლის მუდმივ და ძირითად საარსებო წყაროს, მაშინ მას შეიძლება დაენიშნოს პენსია.

ზიანის ასანაზღაურებლად კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენისას, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ

კანონის თანახმად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ არის დაკავშირებული მარჩენალსა და კმაყოფაზე მყოფ პირს შორის არც ნათესაურ კავშირსა და არც კმაყოფაზე ყოფნის ვადის ხანგრძლივობაზე.

სსსკ 321-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა თვითონ დაბადების, შვილების და ა.შ. ფაქტის დადგენა, არამედ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებში მათი რეგისტრაცია. ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ სასამართლოები ადგენენ მოცემულ ფაქტებს, თუკი:

1) მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში შემონახული არ არის შესაბამისი ჩანაწერი და ასეთი ჩანაწერის აღდგენაზე პირს უარი ეთქვა.

2) შესაბამისი ჩანაწერი შეიძლება აღდგენილ იქნეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ორივე მეუღლემ. თუკი სასამართლოში ასეთი განცხადება შეიტანა ერთ-ერთმა მეუღლემ, მაშინ მეორე მეუღლე ჩაერთვება საქმეში დანტერესებულ პირად.

მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1124-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განქორწინება დაიშვება იმ მეუღლეებს შორის ურთიერთ თანხმობით, რომელთაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ. განქორწინების შესახებ განცხადებაში მეუღლეები მოვალენი არიან დაადასტურონ არა მარტო ურთიერთთანხმობა, არამედ ისიც, რომ მათ არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები. განქორწინება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის დაუსწრებლად, თუ მას საპატიო მიზეზის გამო ან

შეუძლია გამოცხადდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში და მისი სახელით წარმოდგენილია სათანადოდ დამოწმებული განცხადება განქორწინებაზე მისი თანხმობის დასადასტურებლად. განქორწინება ხდება მეუღლეთა მიერ განქორწინების შესახებ განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან<sup>1</sup>.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლის თანახმად, განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, აღსრულდება ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მოთხოვნით არა უგვიანეს სამი წლისა, კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების შესვლის დღიდან მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრაციის საშუალებით. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციის დადგენა უნდა განვასხვავოთ განსაზღვრულ დროში პირის გარდაცვალების ფაქტისაგან. პირველ შემთხვევაში საუბარია მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოსაგან გარდაცვალების რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტის მიღების ან აღდგენის შეუძლებლობაზე. მეორე შემთხვევაში კი მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ უარი განაცხადა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე, რითაც სწორედ იქნა გამოწვეული განმცხადებლის მიმართვა სასამართლოსადმი.

სსსკ 312-ე მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული საქმეები, როგორცაა უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენა, რომლის სახელი, გვარი, მამის სახელი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს ან გვარს, დაკავშირებულია დოკუმენტში შეცდომის დადგენასთან, რომელიც უკვე აღარ შეიძლება გამოსწორებულ იქნეს ამ

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამოცემულია „სამართალი“, თბილისი, 1997 წ. გვ. 325-326.



დოკუმენტის გამცემი ორგანოს მიერ. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს მტკიცებულებათა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ უფლების დამდგენი დოკუმენტი ეკუთვნის მას და რომ ამ დოკუმენტის გამცემ ორგანოს არა აქვს შესაძლებლობა შეიტანოს მასში შესაბამისი შესწორება.

სსსკ 312-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტის დადგენა ზორციელდება სასამართლოს მიერ, თუკი განმცხადებელს ჰქონდა ნივთის ფლობის თაობაზე უფლებადამდასტურებელი დოკუმენტი, მაგრამ ეს დოკუმენტი დაკარგა და აღნიშნული ფაქტი არ შეიძლება რომ დადასტურდეს, დამტკიცდეს არასასამართლო წესით. მაგალითად, შენობის ფლობის ფაქტი საერთო წესის მიხედვით დგინდება ადმინისტრაციული წესით. თუკი მოქალაქეს არ გააჩნია საბუთები, რომელიც ადასტურებს მის მიერ ნაგებობის ფლობას საკუთრების უფლებით, მაშინ მას შეუძლია მოწმეთა ჩვენებების, წერილობითი მტკიცებულებების მეშვეობით დაამტკიცოს, რომ ნაგებობაზე შესაბამისი დოკუმენტები მას გააჩნდა და მიმართოს სასამართლოს განცხადებით საკუთრების უფლებით ნაგებობის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ.

ნაგებობის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაში ასევე აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული მტკიცებულებანი განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის მიღების შეუძლებლობის ანდა ამ დოკუმენტის აღდგენის შეუძლებლობის შესახებ. სასამართლოს მიერ დგინდება არა საკუთრების უფლება, არამედ შესაბამისი დოკუმენტების არსებობის ფაქტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ საკუთრების უფლებით ნაგებობის ფლობას.

სსსკ 312-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლო წესით შესაძლებელია უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენა. როგორც წესი, საქმე ეხება წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევას. ასეთი შემთხვევების დადგენის წესი რეგულირდება დებულებით წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევათა გამოძიებისა და აღრიცხვის შესახებ. აღნიშნული დებულების შესაბამისად, კონტროლს უბედური შემთხვევე-

ბის სწორად და თავისდროულად გამოძიებაზე ახორციელებენ შრომის ტექნიკური ინსპექციები. თუკი დაზარალებულმა მიიღო ადმინისტრაციისაგან უარი უბედური შემთხვევის შესახებ აქტის შედგენაზე ანდა სხვა ოფიციალური დოკუმენტის გაცემაზე იმ მოტივით, რომ ფაქტი არ დადასტურდა, მაშინ მას შეუძლია მიმართოს განცხადებით სასამართლოს მოცემული ფაქტის დადგენის თაობაზე.

უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს უბედური შემთხვევის ფაქტი მხოლოდ მაშინ, როცა ამ ფაქტის დადგენა არასასამართლო წესით გამორიცხულია, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტით. განცხადება უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს მიერ წარმოებაში მიიღება: როცა უბედური შემთხვევის ფაქტის შესახებ დოკუმენტი საერთოდ არ შედგენილა და მოცემულ დროში მისი შედგენა შეუძლებელია; აქტი მართალია შედგენილი იყო, მაგრამ შემდგომში დაიკარგა და მისი აღდგენა არასასამართლო წესით შეუძლებელია; აქტის შედგენის დროს დაშვებულ იქნა შეცდომა, რომელიც ხელს უშლის უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენას და ამ შეცდომის გამოსწორება არასასამართლო წესით შეუძლებელი აღმოჩნდა.

იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ იმ უბედურ შემთხვევას, რომელმაც გამოიწვია შრომითი ტრავმები. ადგენს რა უბედური შემთხვევის ფაქტს, სასამართლო არ განსაზღვრავს შრომისუნარიანობის დაკარგვის მიზეზებსა და ხარისხს, ინვალიდობის მიზეზს, ჯგუფსა და დადგომის დროს. აღნიშნული ფაქტები დგინდება საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მიერ.

სსსკ 312-ე მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ უარი თქვა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე.

თუკი მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ უარი თქვა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე იმ მიზეზით, რომ



K 292.774  
3

გასულია კანონით დადგენილი ვადა მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოსათვის მიმართვისათვის, ანდა არ არსებობს გარდაცვალების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები მაშინ პირს შეუძლია მიმართოს განცხადებით სასამართლოს პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ. განმცხადებელმა უნდა წარადგინოს დოკუმენტი მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს მიერ გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. განცხადებაში მითითებულ უნდა იქნეს მტკიცებულებები, რომელიც უტყუარად ადასტურებს პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს.

განცხადება მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის. დადგენის შესახებ შეიძლება განიხილოს სასამართლომ უდავო წარმოების წესით, თუკი სანოტარო მოქმედებათა განმხორციელებელმა ორგანომ უარი უთხრა განმცხადებელს მემკვიდრეობის მიღების უფლების მოწმობის გაცემაზე იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს არ გააჩნია დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ მფლობელობაში მიღების ფაქტს ანდა ასეთი დოკუმენტები არასაკმარისია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1412-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან<sup>2</sup>. მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების დამადასტურებელ მტკიცებულებებს სანოტარო ორგანოსათვის წარმოადგენს გადასახადების გადახდის შესახებ ქვითრები, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების მიერ გაცემული ცნობები და სხვა დოკუმენტები.

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1997 წ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 400.

სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის — სამკვიდროს ადგილსამყოფელი; თუ სამკვიდრო სხვადასხვა ადგილას იმყოფება, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის ადგილსამყოფელი, ხოლო თუ უძრავი ქონება არ არის, მაშინ — მოძრავი ნივთის ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1324-ე მუხლი). ნოტარიუსისათვის სამკვიდროს გახსნის ადგილის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს, მამკვიდრებლის სამუშაო ადგილიდან ცნობა მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ანდა დოკუმენტი სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის შესახებ (მაგალითად, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა). თუკი ყველა საჭირო დოკუმენტი წარმოდგენილია, მაგრამ სანოტარო ორგანო უარს ამბობს სამკვიდროზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემაზე, მაშინ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს არა განცხადებით მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ, არამედ საჩივრით სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლში მოცემული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ ჩამონათვალი არ არის ამოწმურავი. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტებიც. მაგალითად, პაის ფლობის ფაქტი, ავტომობილის, სხვა ქონების ფლობის ფაქტი, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას იმ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, რომლის სახელზეც იყო ქონება რეგისტრირებული, ერთ-ერთი მეუღლის სახსრებით ნაგებობის აშენების ფაქტი, თუ მეუღლეები ოფიციალურად განქორწინებულები არ არიან, მაგრამ ფაქტობრივად ცალ-ცალკე ცხოვრობენ, თუკი ეს გარემოება ხელს უშლის სახლის გაყიდვას; მამობის დადგენის ფაქტი, ასევე სხვა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები, თუკი არ არსებობს მათი დადგენის სხვა წესი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის

თანახმად, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს აღგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში<sup>1</sup>.

განმცხადებლის მიერ საბუთების სხვა წესით მიღების შემთხვევაში ბლობაში უნდა გავიგოთ ან მოცემული ფაქტის რეგისტრაციის წესის არარსებობა საერთოდ (მაგალითად, კმაყოფაზე ყოფნა), ანდა ფაქტის რეგისტრაციის შესაბამისი წესის დაუცველობა და მოცემულ პირობებში მისი დაცვის შეუძლებლობა (მაგალითად, უბედური შემთხვევის ფაქტი, რომელიც არ იყო დამოწმებული უბედური შემთხვევის შესახებ შესაბამისი აქტით და ასეთი აქტის შედგენა მოცემულ ვითარებაში შეუძლებელია), ანდა მოცემულ ვითარებაში ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტებში შეცდომის ან უზუსტობის გამოსწორების შეუძლებლობა, რის გამოც მოცემულ დოკუმენტს დაკარგული აქვს მტკიცებულებითი ძალა.

დაკარგული დოკუმენტების აღდგენის შეუძლებლობაში იგულისხმება შესაბამისი ორგანოსათვის (მაგალითად, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანო) საჭირო დოკუმენტების დუბლიკატების გაცემის შესაძლებლობის არქონა არქივში მონაცემების არარასებობის, ანდა არქივის დაკარგვის გამო.

უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1985 წლის 21 ივნისის N 9 დადგენილებაში სასამართლოთა ყურადღება გაამახვილა იმის თაობაზე, რომ სასამართლო წესით არ შეიძლება განხილულ იქნეს განცხადებები: შრომის სტაჟის, შრომისუნარიანობის დაკარგვის მიზეზებისა და ხარისხის; ინვალიდობის ჯგუფის, ანდა მისი დადგომის დროის; შეიარაღებულ ნაწილებში ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის; ფრონტზე ყოფნის; ჭრილობების მიღების; მოქალაქეთა ასაკის; უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დადგენის თაობაზე<sup>1</sup>.

სსსკ 314-ე მუხლის თანახმად, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ შეიტანება სასამართლოში განმ-

<sup>1</sup> საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი №9, 1985 წ.

ცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გამონაკლისია განცხადება საკუთრების უფლებით უძრავი ქონების ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც შეიტანება სასამართლოში უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეები შეიძლება აღიძრას სასამართლოში როგორც თვითონ საქმის შედეგებით უშუალოდ დაინტერესებული პირების მიერ, ასევე სხვა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერაც, როდესაც კანონის თანახმად მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს სხვა პირთა ინტერესების დასაცავად. ასე მაგალითად, მამად ცნობის ფაქტის ანდა მამობის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის თანახმად შეუძლია მიმართოს სასამართლოს არა მარტო ბავშვის დედამ ან თვითონ ბავშვმა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, არამედ ბავშვის მეურვემაც (მზრუნველმაც) ან იმ პირმაც, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი. თუკი განმცხადებელმა შეიტანა სასამართლოში განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე რამდენიმე ფაქტის დადგენის შესახებ, ყველა ასეთი განცხადება სსსკ 181-ე მუხლის თანახმად, შეიძლება გაერთიანებულ და განხილულ იქნეს ერთ წარმოებაში. სხვა მოთხოვნები კი ამ წარმოებაში განხილული არ იქნება.

სსსკ 314-ე მუხლი ადგენს ტერიტორიულ განსჯადობას, რომლის თანახმადაც განცხადება სასამართლოში შეიტანება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუკი განმცხადებელად გამოდის ორგანიზაცია (იურიდიული პირი), მაშინ განცხადება შეიტანება ამ ორგანიზაციის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. განცხადება საკუთრების უფლებით უძრავი ქონების ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ სსსკ მე-18 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ნივთობრივი განსჯადობის შესახებ შეიტანება სასამართლოში უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

სხვადასხვა ადგილას მცხოვრები პირების მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში, განცხადება შეიტანება სასამართლოში მათი არჩევით ერთ-ერთის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სსსკ 315-ე მუხლის თანახმად, განცხადებაში იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, უნდა აღინიშნოს, თუ რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა. აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების მიღების დროს, მოსამართლემ უნდა შეამოწმოს არის თუ არა მოცემული ფაქტის დადგენა სასამართლოსადმი ქვემდებარე, აქვს თუ არა განმცხადებელს უფლება მიმართოს სასამართლოს ასეთი განცხადებით, შეესაბამება თუ არა განცხადება კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადება უნდა პასუხობდეს სსსკ 178-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ მუხლში მოცემული ზოგადი რეკვიზიტების გარდა (სასამართლოს დასახელება, რომელშიაც შეაქვთ განცხადება; განმცხადებლის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – მისი სახელწოდება და მისამართი, განცხადებისათვის დართული საბუთების ნუსხა და სხვა), განცხადებაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს: ა) რომელი ფაქტის დადგენაა აუცილებელი; ბ) ამ ფაქტის დადგენის მიზანი; გ) მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას.

ფაქტის დადგენის მიზნის აღნიშვნა განცხადებაში საჭიროა იმისათვის, რომ მოსამართლემ განცხადების მიღების დროს განსაზღვროს ამ ფაქტის იურიდიული მნიშვნელობა და დაადგინოს დაინტერესებულ პირთა წრე. თუკი განცხადებაში არ იქნება აღნიშნული სასამართლოსადმი მიმართვის მიზანი, მოსამართლეს უფლება აქვს გამოიყენოს სსსკ 185-ე მუხლით დადგენილი წესები და სარჩელი უმოძრაოდ დატოვოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ 315-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

ოვნა-განცხადებაში ფაქტის დადგენის მიზნის აღნიშვნის შესახებ, არ გამოიყენება ყველა იმ საქმეთა მიმართ, რომელიც აღძრულია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის თაობაზე. ასე მაგალითად, განცხადება უფლების დამდგენი საბუთის პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ შეიძლება განხილულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როცა განმცხადებელს სასამართლოსადმი მიმართვის მომენტში არ გააჩნია კონკრეტული მიზანი, ამასთან, განმცხადებელს უფლება აქვს აღნიშნული თხოვნით მაშინვე მიმართონ სასამართლოს შესაბამისი დოკუმენტის დაკარგვის შემდეგ, რამეთუ მას გააჩნია სამართლებრივი ინტერესი შესაბამისი დოკუმენტის თავისდროული აღდგენის მიმართ.

სსსკ 315-ე მუხლი ავალდებულებს განმცხადებელს, რომ მან წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას. ასეთი მტკიცებულებები შეიძლება იყოს, მაგალითად, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს შეტყობინება მოქალაქეთა მდგომარეობის აქტის ჩანაწერის არარსებობის შესახებ; წერილობითი უარი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის დაკარგული ჩანაწერის აღდგენის შესახებ მისი აღდგენის შეუძლებლობის მოტივით; დოკუმენტი, რომელშიაც არის შეცდომა ან უზუსტობა და დოკუმენტის გამცემი ორგანოს წერილობითი უარი შეიტანოს დოკუმენტში შესაბამისი შესწორებანი; მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს მიერ გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დოკუმენტი და სხვა.

სსსკ 203-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მომზადების დროს, მოსამართლეს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა და განახორციელოს საქმის განხილვის მომზადებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ



საქმეები უნდა განიხილოს სასამართლომ სსსკ 312-316-ე მუხლებით დადგენილი წესების მიხედვით განმცხადებლისა და საქმის გადაწყვეტაში დაინტერესებული პირების მონაწილეობით (მოქალაქეებზე უპასუხის ორგანიზაციები, მაგალითად, სოცურუნველყოფის ორგანიზაციები, საფინანსო ორგანოები, სამხედრო კომისარიატები და ა.შ.).

თუკი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ საქმის განხილვის დროს წამოიჭრება დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება ანდა თვითონ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეში ფაქტის დადგენა დაკავშირებულია უფლების თაობაზე დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის აუცილებლობასთან, ასეთ შემთხვევებში სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

სსსკ 316-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოსა ან სხვა ორგანოში, ასეთი რეგისტრაციისა და გაფორმების საფუძველია, მაგრამ ვერ ცვლის ამ ორგანოების მიერ გასაცემ დოკუმენტებს.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ საქმის თაობაზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ 249-ე მუხლის მოთხოვნებს.

ასე მაგალითად, პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს, თუ როგორი სახის ნათესაურ კავშირში იმყოფება განმცხადებელი შესაბამის პირთან, ხოლო თუკი საუბარია მეორე რიგის მემკვიდრეების ნათესაური კავშირის დადგენაზე — აღნიშნავს პირველი რიგის შესაბამისი მემკვიდრეების არარსებობის ფაქტს.

პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ფიქსირდება კმაყოფაზე ყოფნის არსებობა და სასამართლოსადმი მიმართვის მიზნის

შესაბამისად, რომელიც აღნიშნულია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, განისაზღვრება კმაყოფაზე ყოფნის ვადაც. ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა შეეთითოს იმ პირთა ანკეტური მონაცემები, რომელთა მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება, ქორწინების რეგისტრაციის ადგილი, დაქორწინების დრო.

უფლების დამდგენი საბუთის პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს: მითითებას დოკუმენტების განმასხვავებელი ნიშნების შესახებ (დასახელება, ვის მიერ და ვის სახელზეა გაცემული, გაცემის თარიღი, დრო და ა.შ.), იმ პირის გვარს, სახელს, მამის სახელს (პასპორტის ან დაბადების მოწმობის მიხედვით), რომელსაც ვკუთვნის დოკუმენტი.

საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება: ნივთის ადგილსამყოფელი (ქალაქი, დასახლება, სოფელი, ქუჩა), როდის, სად და ვის სახელზეა რეგისტრირებული ნივთი საკუთრების უფლებით.

უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა აღინიშნოს: უბედური შემთხვევის დრო და ადგილი; იმ პირის სახელი, და გვარი, რომელსაც შეემთხვა უბედური შემთხვევა; უბედური შემთხვევის კავშირი წარმოებასთან.

გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება: ვისი გარდაცვალება დადგინდა; როდის გარდაიცვალა პირი; რა გარემოებებში გარდაიცვალა პირი. გარდაცვალების დღედ ითვლება სასამართლოს მიერ გარდაცვალების ფაქტის დადგენის დღე. გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტის დადგენისას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება: მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის რომელი ორ-

განოს მიერ იყო რეგისტრირებული მოქალაქის გარდაცვალება; რეგისტრაციის თარიღი.

მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილ სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნება: სამკვიდროს გახსნის დრო და ადგილი; სამკვიდროს მიღების დრო; პირი, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს მართვას ან ფლობას.

## 2. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, განცხადება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შეიტანება სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით<sup>1</sup>.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას; ხოლო 22-ე მუხლის მიხედვით კი, პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა იხეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდლს უქადდა ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება. სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან<sup>2</sup>.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლში არ არის აღნიშნული, თუ ვის აქვს უფლება შეიტანოს სასამართლოში განცხადება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ. ესენი შეიძლება იყვნენ

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998 წ.

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1997.

როგორც მოქალაქეები, ასევე ორგანიზაციები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები და ა.შ. განცხადება შეიტანება განმცხადებლის საცხორებელი ადგილის მიხედვით – თუ განმცხადებელი მოქალაქეა, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია, მაშინ განცხადება შეიტანების იურიდიული მისამართის მიხედვით (მაგალითად, ბანკს ან სხვა საკრედიტო დაწესებულებას აქვს უფლება შეიტანოს სასამართლოში განცხადება მოქალაქის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ანდა გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, თუკი მოქალაქეს აღებული აქვს სესხი და არ ჩანს ხანგრძლივი დროის განმავლობაში).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 318-ე მუხლის თანახმად, განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს მოქალაქის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მისი გარდაცვლილად გამოცხადება, აგრეთვე ვარაუზები, რომლითაც დასტურდება მოქალაქის უზო-უკვლოდ დაკარგვა ანდა რომლებიც უზო-უკვლოდ დაკარგულს სიკვდილის საფრთხეს უქმნიდა ან საფუძველს იძლევა მისი დაღუპვის ვარაუდისათვის გარკვეული უბედური შემთხვევის შედეგად.

განცხადება მოქალაქის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სსსკ 317-ე მუხლის მოთხოვნებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ 178-ე მუხლის მოთხოვნებსაც.

სსსკ 317-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ საქმე სასამართლოში შეიძლება აღიძრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი განცხადებაში აღნიშნულ იქნება სასამართლოსადმი მიმართვის მიზანი. ასეთი მიზანი შეიძლება იყოს: ქორწინების შეწყვეტა განქორწინების გზით, პენსიის მიღება მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ვალის გადახდის მოთხოვნა და სხვა.

მოქალაქის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში მის მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს განქორწინება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში (საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 1125-ე მუხლი, „ა“ ქვეუნიქტი), მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის არაშრომისუნარიან წევრებს წარმოეშობათ პენსიის მიღების უფლება მარჩნალოს დაკარგვის შემთხვევაში, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ბავშვი შეიძლება გაშვილებულ იქნეს მისი თანხმობის გარეშე (საქართველო სამოქალაქო კოდექსის 1254-ე მუხლის 1-ლი ქვეუნიქტი), წყდება უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სახელზე გაცემული რწმუნებულება, ასევე მისი ქონება გადაეცემათ სამართავად მემკვიდრეებს მინდობილი საკუთრების სახით.

მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს ისეთივე შედეგებს, როგორსაც ადამიანის სიკვდილი. იხსნება მემკვიდრეობა და მემკვიდრეებზე გადადის ის უფლება-მოვალეობანი, რომელიც ეკუთვნოდა გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს.

თუკი განმცხადებელმა განცხადებაში არ მიუთითა ის მიზანი, რომლის მისაღწევადაც უნდა აღიძრას საქმე, მაშინ სსსკ 185-ე მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე სასამართლო განცხადებას უმოძრაოდ დატოვებს და მისცემს განმცხადებელს ვადას ზარვეზის შესავსებად.

განცხადებაში აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული ის გარემოებანი, რომლითაც დასტურდება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგვა. ასეთი გარემოებანი შეიძლება იყოს ნებისმიერი მონაცემები, რომელიც ადასტურებს მოქალაქის გამოუჩინლობას მის საცხოვრებელ ადგილას ორი წლის განმავლობაში (უარყოფითი პასუხები სამუშაო ადგილიდან, დაბადების ადგილიდან, სავარაუდო ადგილსამყოფელიდან და ა.შ.).

განცხადებაში უნდა მიეთითოს ისეთი გარემოებანი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულს სიკვდილს უქაღდა (მაგალითად, წყალდიდობა, მიწისძვრა, ზეავი, მეწყერი და ა.შ.), ანდა საფუძველს იძლევა რაიმე უბედური შემთხვევის შედეგად მისი დაღუპვის ვარაუდის შესახებ (მაგალითად, ავტოავარია, თვითმფრინავის ავარია, გემების შეჯახება და ა.შ.), გარდა ამისა, განცხადებაში უნდა აღინიშნოს ის ფაქტებიც, რომელიც ადასტურებს პირის დიდხანს გამოუცხადებლობას (6 თვე) მის საცხოვრებელ ადგილას.

განცხადებაში სამხედრო მოსამსახურის ან სხვა პირის გარდაცვ-

ლილად გამოცხადების შესახებ, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს გარემოებები, რომელიც ადასტურებს პირის დიდხანს გამოუცხადებლობას და მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობას. ეს შეიძლება იყოს სამხედრო მომსარიატის შეტყობინებები, ძეხვის მონაცემები, უარყოფითი პასუხები შესაბამის მიმართებებზე და ა.შ., ასევე ორი წლის გასვლა საომარი მოქმედებების დამთავრების დღიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად, სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადებისას მოსამართლე გამოარკვევს, თუ რომელ პირებს შეუძლიათ მიაწოდონ ცნობები დაკარგულის შესახებ, აგრეთვე გამოკითხავს სათანადო ორგანოებს დაკარგული პირის შესახებ მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით.

სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადებისას მოსამართლე ხელმძღვანელობს არა მარტო სსსკ 319-ე მუხლის მოთხოვნათა მიხედვით, არამედ ასევე სსსკ 203-ე მუხლის ზოგადი ნორმების მიხედვითაც იმ ზომით, რა ზომითაც ისინი გამოიყენება უდავო წარმოებაში.

მოსამართლემ სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების დროს უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა მოქალაქის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შესახებ განცხადებაში აღნიშნული ცნობების შესამოწმებლად. ამ მიზნით გამოიკითხებიან განცხადებაში აღნიშნული პირები, ეგზავნებათ მიმართვები სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, სამხედრო სამსახურის მიხედვით შესაბამის დაწესებულებებს (პოლიციის ორგანოები, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები, სამხედრო კომისარიატები და ა.შ.).

მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში, თუკი იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო, მოსამართლემ სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების პროცესში უნდა გამოითხოვოს დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს აღნიშნული გარემოებების არსე-

ბობას, ხოლო ასეთი დოკუმენტების არარსებობისას სსსკ 203-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტოს სასამართლო სხდომაზე მოწმეთა დაბარების საკითხი.

საჭიროა ასევე გამორკვეულ იქნეს, განზრახ ზომ არ არიდებს პირი თავს საცხოვრებელ ადგილზე გამოცხადებას, ან ზომ არ იმალება მოქალაქე იმასთან დაკავშირებით, რომ ჩადენილი აქვს დანაშაული, ან ბოროტად თავს არიდებს ალიმენტის გადახდას ან არ სურს აანაზღაუროს მის მიერ მიყენებული ზიანი. ამასთან დაკავშირებით, მოსამართლემ უნდა გაავზავნოს მიმართვენი პოლიციის ორგანოებში, დაკითხოს დაკარგული პირის ახლობლები. მოსამართლემ არ უნდა დაიწყოს საქმის განხილვა იმ დრომდე, სანამ იგი არ მიიღებს თავის მიმართვებზე პასუხებს შესაბამისი ორგანოებიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, იმის საფუძველია რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით გადაეცეს სამართავად მის კანონიერ მემკვიდრეებს.

სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე გამოცხადებულია გარდაცვლილად, იმის საფუძველია, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ შეიტანოს ჩანაწერი ამ მოქალაქის გარდაცვალების შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში<sup>1</sup>. სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ იმ პირობით, თუკი სამოქალაქო კოდექსის 21-ე და 22-ე მუხლებით დადგენილი ვადების განმავლობაში შეუძლებელი აღმოჩნდება პირის ადგილსამყოფელის დადგენა. თუკი ხუთი წლის განმავლობაში მოქალაქე არ გამოჩენილა მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, მაგრამ არის ცნობები იმის შესახებ, რომ ამ დროის განმავლობაში იგი იმყოფებოდა სხვა ადგილას, მაშინ სასა-

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1998 წ.



მართლოს არა აქვს საფუძველი იმისათვის, რომ ასეთი პირი გამოიყენებოდეს გარდაცვლილად.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისათვის, ან გარდაცვლილად გამოცხადებისათვის დადგენილი ვადა მსვლელობას იწყებს მძღლიდან, როდესაც მიღებულ იქნა უკანასკნელი ცნობები მის ადგილსამყოფელის შესახებ. თუ ამ დღის დადგენა შეუძლებელია, მაშინ უგზო-უკვლოდ დაკარგულობა იწყება იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელიც მომდევნოა იმ თვისა, რომელშიაც მიღებულ იქნა დაკარგულის შესახებ უკანასკნელი ცნობები, ხოლო თვის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში — შემდეგი წლის პირველი იანვრიდან.

ზუსტი დრო, რომლის განმავლობაშიაც მოქალაქე არ ცხადდება მის საცხოვრებელ ადგილას და მის შესახებ უკანასკნელი ცნობების მიღების დრო აღინიშნება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო პირს აღიარებს უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან აცხადებს გარდაცვლილად (ანდა უარს ეუბნება ამაზე). აღსანიშნავია, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების მაგივრად პირი გამოაცხადოს გარდაცვლილად, რამეთუ მოთხოვნის საგნის ან საფუძვლის შეცვლის უფლება გააჩნია მხოლოდ განმცხადებელს. გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს მოქალაქის გვარს, სახელს, მისი დაბადების ადგილსა და წელს, უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილს, უგზო-უკვლოდ დაკარგულობის დაწყების ანდა მოქალაქის გარდაცვალების დღეს, თუკი ის ცნობილია.

იმ პირის ადგილსამყოფელის დადგენის შემთხვევაში, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, ანდა თუკი გამოუცხადებლობის ვადა არ შეესაბამება კანონით დადგენილ ვადას, სასამართლო უარს აცხადებს განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგუ-

ლად, კანონიერი შემკვიდრები მოიპოვებენ უფლებამოსილებას უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის კმაყოფაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალდებულებები.

სასამართლოს გადაწყვეტილება მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ უნდა გაიგზავნოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის შესაბამის ორგანოში სამი დღის განმავლობაში. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია განსაზღვრულ დღეს მისი გარდაცვალების ფაქტი, მაშინ გარდაცვალების შესახებ აქტის ჩანაწერში აღინიშნება სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული თარიღი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლის თანახმად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას. ახალი გადაწყვეტილება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში გარდაცვალების შესახებ ჩანაწერის გაუქმების საფუძველია<sup>1</sup>.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირის გამოჩენის შემთხვევაში, სასამართლო დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განახლებს საქმის წარმოებას და გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას იმავე წარმოებაში, რომელშიც მოქალაქე აღიარებულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ანდა გამოცხადდა გარდაცვლილად. ახალი საქმის აღძვრა საჭირო არ არის. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს განცხადებით შეიძლება მიმართოს თვითონ იმ პირმა, რომელიც აღიარებულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ანდა გამოცხადდა გარდაცვლილად, ანდა იმ პირებ-

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998 წ.

მა და ორგანიზაციებმა, რომელთა ინიციატივითაც მოხდა მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ანდა გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ საქმის განხილვა. ეს განცხადება არ ექვემდებარება სახელმწიფო ბაჟის გადახდას, რამეთუ ადგილი აქვს აღიარებულ საქმის გაგრძელებას.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას და გადაწყვეტილების ასლს უგზავნის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს პირის გარდაცვალების შესახებ ჩანაწერის გაუქმებისათვის.

დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.

ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შექენისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა ხაზინას და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

### 3. მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება

ქართული

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 322-ე მუხლის თანახმად, საქმე იმ მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, რის გამოც თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს, შეიძლება აღძრან მისი ოჯახის წევრებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა.

საქმე სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობს გამო მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ შეიძლება აღძრან სასამართლოში მისი ოჯახის წევრებმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, აგრეთვე ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებმა.

განცხადება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ამ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი მოთავსებულია ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ – სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით<sup>1</sup>.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განაზოციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), სრული მოცულობით წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე, ანუ 18 წლის ასაკიდან.

პირი, რომელსაც ჭკუასუსტობის ან სულიერი ავადმყოფობის გამო არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან უხელმძღვანელოს მას, სასამართლოს მიერ შეიძლება აღიარებულ იქნეს ქმედუნაროდ. ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად შეიძლება აღიარებულ იქნეს პირი, რომელიც ბოროტად

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998 წ.

იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამით ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს<sup>1</sup>.

მოქალაქის აღიარება შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მიერ უდავო წარმოების ფარგლებში (სსსკ მუხლები 322-327-ე).

შეზღუდულ ქმედუნარიან პირს ენიშნება მზრუნველი. ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირს მზრუნველის ნებართვის გარეშე უფლება არა აქვს დადოს ქონების განკარგვის გარიგებანი (მაგალითად, გაყიდოს, გააჩუქოს, გაცვალოს, შეიძინოს ქონება), წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებების გარდა, ასევე დამოუკიდებლად მიიღოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავლები (საავტორო კონორარი; აღმოჩენისათვის, გამოგონებისათვის გასამრჯელო) და ა.შ.

ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებად, რომელიც წარმოადგენს სასამართლოს მიერ პირისათვის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველს, ჩაითვლება მათი უზომო და სისტემატიური მოხმარება, რომელიც იმყოფება პირის ოჯახის წევრების ინტერესებთან წინააღმდეგობაში და იწვევს მათ შესაძენად ფულადი სახსრების ხარჯვას და ამით ოჯახი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ვარდება.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ოჯახის სხვა წევრებს დამოუკიდებელი შემოსავალი, სასამართლომ მაინც უნდა განიხილოს განცხადება, თუკი ოჯახი არ ღებულობს საჭირო სახსრებს იმ პირისაგან, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ანდა იძულებულია მთლიანად ან ნაწილობრივ ინახოს იგი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 322-ე მუხლი შეიცავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებსაც უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს განცხადებით პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედ-

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამოცემა „სამართალი“, 1997 წ. გვ. 4-5.

უწაროდ აღიარების შესახებ. ამ პირებისა და ორგანიზაციების აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავია.

იმ მოქალაქის ოჯახის წევრებს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მიეკუთვნებიან: მეუღლე, არასრულწლოვანი შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები, არაშრომისუნარიანი კმაყოფაზე მყოფი პირები, რომელიც ცხოვრობენ მასთან ერთად და ეწვეიან საერთო მეურნეობას. ოჯახის იმ წევრებს, რომელიც ცალკე ცხოვრობენ, არა აქვთ უფლება შეიტანონ სასამართლოში განცხადება პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ, რამეთუ პირის მოქმედება აღნიშნული ოჯახის წევრებს (ე.ი. განცალკევებით მაცხოვრებლებს) არ აყენებს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, იმ შემთხვევაში, თუკი მოქალაქე ცხოვრობს მარტო (არ გააჩნია ოჯახი), საქმე მისი შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ არ შეიძლება აღიძრას.

სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ განცხადების შეტანის უფლება აქვთ მის მეუღლეს, სრულწლოვან შვილებს, მშობლებს, სხვა ნათესავებს, კმაყოფაზე მყოფ არაშრომისუნარიან პირებს, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობენ და ეწვეიან საერთო მეურნეობას. ამასთან ერთად, მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ განცხადების შეტანის უფლება ახლო ნათესავებს გააჩნიათ მიუხედავად იმისა, ისინი მოცემულ პიროვნებასთან ერთად ცხოვრობენ თუ ცალკე.

ოჯახის წევრების გარდა, საქმე მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ შეიძლება აღძრან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, ხოლო საქმე სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ შეიძლება აღძრან ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, ან კიდევ ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებმა.

თუკი განცხადება შეტანილია იმ პირის მიერ, ვისაც არ ჰქონდა მისი შეტანის უფლება, მაშინ მოსამართლემ სსსკ 186-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად უარი უნდა განაცხადოს განცხადების წარმოებაში

მიღების თაობაზე და თავის განჩინებაში მიუთითოს, თუ ვისი განცხადებით შეიძლება აღიძრას საქმე. თუკი არაუფლებამოსილი პირის მიერ განცხადების შეტანის ფაქტი ცნობილი გახდება საქმის სასამართლო განხილვის დროს, მაშინ სასამართლომ საქმის წარმოების შეწყვეტლად უნდა განიხილოს არასათნადო განმცხადებლის სათანადო განმცხადებლით შეცვლის საკითხი, გამომდინარე სსსკ 84-ე მუხლის მოთხოვნიდან.

მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ საქმის განხილვაში მონაწილეობას ღებულობენ განმცხადებლის სახით მისი ოჯახის ის სრულწლოვანი წევრები, რომელთა ინტერესებსაც ეხება აღძრული საქმე როგორც იმ შემთხვევაში, როცა ისინი თვითონ მიმართავენ სასამართლოს, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც განცხადება მათი ინტერესების შესაბამისად შეტანილია მურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ.

იმ პირის ინტერესების შესაბამისად, რომლის მიმართაც ღვას საკითხი მისი შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ, ასევე საქმის ნამდვილი გარემოებების სრულყოფილად და სწრაფად გამორკვევის მიზნით, სსსკ 322-ე მუხლის „3“-ე ქვეპუნქტი ითვალისწინებს ტერიტორიულ განსჯადობას, რომლის თანახმადაც, განცხადება მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ამ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი მოთავსებულია ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ – სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

განცხადებაში მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გარემოებებზე, რომელიც ადასტურებს, რომ პირი, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს ოჯახს.

განცხადებაში მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ უნდა აღინიშნოს გარემოებანი, რომელიც ადასტურებს ფსიქიკურ მოშლილო-

ბას, რის გამოც მას არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან განაგოს იგი.

განცხადება მოქალაქის ქმედუნაროდ ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს სსსკ როგორც 178-ე, ასევე 323-ე მუხლის მოთხოვნებს.

მტკიცებულებათა სახით, რომელიც ადასტურებს პირის მიერ ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებას, რაც იწვევს ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენებას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოწმეთა ჩვენებები, პოლიციის აქტები, ცნობები სამედიცინო გამოსაფხიზლებლებიდან, ადმინისტრაციის აქტები მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების მდგომარეობაში სამუშაოზე გამოცხადების შემთხვევაში, დოკუმენტები ოჯახის შემოსავლების, ოჯახის წევრების რაოდენობის შესახებ, აგრეთვე სხვა დოკუმენტები.

განცხადებაში მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ მოცემულ უნდა იქნეს გარემოებანი, რომელიც ადასტურებს მოქალაქის ფსიქიკურ მოშლილობას და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებანი. ასეთი მტკიცებულებები შეიძლება იყოს ამონაწერები ავადმყოფობის ისტორიიდან, რომელიც გაცემულია დადგენილი წესით, ცნობები ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებში პირის სამკურნალოდ ყოფნის შესახებ, მოწმეთა ჩვენებები, რომელიც ადასტურებს მოქალაქის მიერ ისეთ მოქმედებათა ჩადენას, რაც არ ახასიათებს ჯანმრთელ ადამიანს და სხვა.

სსსკ 324-ე მუხლის თანახმად, თუკი არსებობს საკმაო ცნობები მოქალაქის ფსიქიკური მოშლილობის შესახებ, მოსამართლე, სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების წესით, დანიშნავს სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ამ მოქალაქის ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე მისი ქმედუნაროდ აღიარების შესახებ, აშკარად თავს არიდებს საექსპერტო შემოწმებას, სასამართლოს თავის სხლომაზე ფსიქიატრის მონაწილეობით შეუძლია გამოიტანოს



განჩინება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზისათვის მოქალაქის იძულებითი გაგზავნის შესახებ.

სასამართლო სხდომაზე საქმის მასალების სრულყოფილ და ყოველმხრივ გამოკვლევის უზრუნველყოფის და ასევე საქმის დროულად განხილვის მიზნით, მოსამართლემ სსსკ 203-ე მუხლის შესაბამისად უნდა განახორციელოს განსაზღვრული მოქმედებანი სასამართლო განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად.

მოსამართლის ერთ-ერთი მოსამზადებელი მოქმედებაა მის მიერ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა მოქალაქის ფსიქიკური მდგომარეობის დასადგენად. მოცემული ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საკმარისი მონაცემები მოქალაქის ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის შესახებ. საკმარის მონაცემებს წარმოადგენს ცნობები თანდაყოლილი გონებრივი ნაკლის შესახებ, ცნობები ფსიქიატრთან აღრიცხვაზე ყოფნის შესახებ, ცნობები პირის ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის შესახებ, ცნობები იმ ტრავმების შესახებ, რომლებსაც შეეძლოთ დაერღვათ მოქალაქის ფსიქიკა, სასამართლოს განჩინება პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და მისი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალოდ მოთავსების შესახებ და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუკი არ არსებობს საკმარისი მონაცემები პირის სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის შესახებ, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა არ უნდა დაინიშნოს.

ექსპერტიზის დანიშვნისას და მისი ჩატარებისას დაცულ უნდა იქნეს სსსკ 162-176-ე მუხლების მოთხოვნები. ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ისეთი საკითხები, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას სასამართლო ფსიქიატრიის სფეროში, მაგალითად, არის თუ არა ფსიქიკური მოშლილობა ქრონიკული. შეუძლია თუ არა პირს, შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან უხელმძღვანელოს მას. ამ კითხვებზე დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს გააკეთოს დასკვნა პირის ქმედუნარიობის შესახებ.

დაუშვებელია ექსპერტიზის წინაშე იმ უფლებების შესახებ საკითხების გადასაწყვეტად დაყენება, რომელთა გადაწყვეტაც განეკუთვნება სასამართლო კომპეტენციას (მაგალითად, საკითხი არა ავადმყოფობის ხასიათის შესახებ, არამედ პირის ქმედუნარიანობის შესახებ).

იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე მისი ქმედუნაროდ აღიარების შესახებ, აშკარად თავს არიდებს საქსპერტო შემოწმებას, სასამართლოს სხდომაზე ფსიქიატრის მონაწილეობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზისათვის მოქალაქის იძულებითი გაგზავნის შესახებ. სასამართლოს განჩინება შეიძლება შესრულდეს ფსიქიატრიული სამკურნალო დაწესებულების სანიტრებისა და პოლიციის თანამშრომლების დახმარებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 325-ე მუხლის თანახმად, საქმეს მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლო განიხილავს ამ მოქალაქის, ასევე მურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით.

საქმეს მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ სასამართლო განიხილავს მურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით. მოქალაქეს, რომელიც აღიარებულ უნდა იქნეს ქმედუნაროდ, დაიბარებენ სასამართლო სხდომაზე, თუ ეს შესაძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

განმცხადებელი მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ გათავისუფლებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საქმის ნამდვილი გარემოებების სრულყოფილად და ყოველმხრივ გამოკვლევის მიზნით, სასამართლომ სსსკ 325-ე მუხლის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ყოველი საქმის განხილვაში თვით იმ პირის მონაწილეობა, რომლის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საკითხიც იხილება, აგრეთვე მურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობა. აღნიშნულ პირთა გამოუცხადებლობის

შემთხვევაში სასამართლო გადადებს საქმის განხილვას სსსკ 216-ე მუხლის შესაბამისად.

საქმეს მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ სასამართლო ასევე განიხილავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით. სასამართლო სხდომაზე თვით იმ მოქალაქის მონაწილეობის საკითხი, რომლის მიმართაც განიხილება საქმე, უნდა გადაწყდეს საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე. დასკვნას იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მოქალაქე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოძახებულ იქნეს სასამართლოში საქმეზე ახსნა-განმარტებების მისაცემად, იძლევა ექსპერტი. თუკი მოქალაქე იმყოფება სამკურნალოდ სტაციონარში, მაშინ საქმე მისი ქმედუნაროდ აღიარების შესახებ განიხილება მისი მონაწილეობის გარეშე.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სასამართლოს წარუდგენს საქმეზე თავის დასკვნას, მასზე დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებისა და იმ პირის უფლებების დაცვის მიზნით, რომლის მიმართაც განიხილება განცხადება მისი შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ.

თუკი სასამართლო განხილვის პროცესში იმ პირის, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ოჯახის სრულწლოვანი წევრები უარს განაცხადებენ მისი შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ, მაშინ სასამართლომ უნდა შეამოწმოს ამ პირთა მოსაზრებების დასაბუთებულობა. ამასთან ერთად, მხედველობაშია მისაღები, რომ ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმა, როდესაც საქმე დაწყებულია ოჯახის სხვა წევრის განცხადებით, არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს, რაც დასაშვებია მხოლოდ სსსკ 272-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი უარს განაცხადებს თავის მოთხოვნაზე, საქმის წარმოება შეწყდება სსსკ 272-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად. ამასთან, განმცხადებლის მიერ თავის მოთ-

ოვნაზე უარის თქმა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ განმცხადებელმა შემდეგში კიდევ აღძრას საქმე იმავე მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ იმ შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი, განმცხადებლის მტკიცებით, აგრძელებს აღიარებულ უარი სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებას საქმეზე წარმოების შეწყვეტის შემდეგაც.

განმცხადებლის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმა არ უსპობს სსსკ 322-ე მუხლში აღნიშნულ სხვა პირებს იმის შესაძლებლობას, რომ მიმართონ სასამართლოს განცხადებით იმავე მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ იმავე საფუძვლებით.

სსსკ 325-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი, მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ საქმეზე, იხდის მხოლოდ სახელმწიფო ბაჟს, ხოლო საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან კი გათავისუფლებულია.

თუკი სასამართლოს მიერ დადგინდება, რომ მოქალაქის ოჯახის წევრებმა წინასწარი შეცნობით შეიტანეს ყალბი განცხადება მისი ქმედუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ ქმედუნარიანობის დაუსაბუთებლად შეზღუდვის ან ჩამორთმევის მიზნით, მაშინ ასეთ განმცხადებლებს დაეკისრებათ ყველა სასამართლო ხარჯების სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულება.

სსსკ 326-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია შეზღუდულ ქმედუნარიანად წარმოადგენს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მზრუნველის დანიშვნის საფუძველს.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია ქმედუნაროდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მეურვის დანიშვნის საფუძველია.

სასამართლოს გადაწყვეტილება მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ უნდა პასუხობდეს სსსკ 249-ე მუხლების მოთხოვნებს.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს დასკვნა იმ მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ანდა იმ მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარების შესახებ, რომელსაც ფსიქიკური მოშლილობის გამო არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ან უხელმძღვანელოს მას, ანდა განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სხვა რომელიმე საკითხის გადაწყვეტა, რომელიც დაკავშირებულია ქმედუნარიანობის შეზღუდვასთან ან ჩამორთმევასთან (მაგალითად, საკითხი მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების შესახებ), სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან სამი დღის განმავლობაში, სასამართლომ უნდა გაუგზავნოს გადაწყვეტილების ასლი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნარიანად აღიარებული პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მისთვის მზრუნველის ან მეურვის დასანიშნად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს, თვით მოქალაქის, მისი მზრუნველის, ოჯახის წევრის განცხადებით გამოაქვს გადაწყვეტილება მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს მეურვის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, ოჯახის წევრის განცხადებით, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გამოაქვს გადაწყვეტილება გამოჯანმრთელებული პირის ქმედუნარიანად აღიარების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება აღნიშნულ პირზე დაწესებული მეურვეობა.

სასამართლოს მიერ ქმედუნარიანობის შეზღუდვა გაუქმდება იმ შემთხვევაში: 1) თუკი არსებობს საკმარისი მტკიცებულებანი, რომელიც ადასტურებს, რომ მოქალაქემ შეწყვიტა ალკოჰოლური სასმელების

ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენება და ამასთან დაკავშირებით მას შეიძლება მიენდოს თავისი ქონებისა და ფულადი სახსრების დამოუკიდებლად განკარგვა; 2) თუკი შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებული პირის ოჯახმა შეწყვიტა არსებობა (განქორწინება, ოჯახის გაყოფა) და, მაშასადამე, აღარ არსებობს ამ პირის ვალდებულება არჩინოს ოჯახი.

განცხადება ქმედუნარიანობის შეზღუდვის გაუქმების ან ქმედუნარიანობის აღდგენის შესახებ სასამართლოში შეიტანება სსსკ 327-ე მუხლში აღნიშნული პირების მიერ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სასამართლოს მიერ იყო გამოტანილი გადაწყვეტილება პირის შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში საუბარია საქმეზე ახალი წარმოების აღძვრასა და არა ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ (განსხვავებით სსსკ 321-ე მუხლის მოთხოვნისაგან).

ქმედუნაროდ აღიარებული მოქალაქის ქმედუნარიანობის აღდგენა შესაძლებელია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. ქმედუნარიანობის აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება მოქალაქეზე დაწესებული მეურვეობა.

4. დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და  
საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა  
(გაეოწვევითი წარმოება) ქართული  
ზიგლოტიკა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც დაეკარგა საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი ან საორდერო ფასიანი ქაღალდი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია სთხოვოს სასამართლოს დაკარგული ფასიანი ქაღალდის ბათილად ცნობა და დაკარგულზე უფლების აღდგენა.

განცხადება შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ამ მუხლში მითითებული საბუთის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით<sup>1</sup>.

სასამართლოების მიერ დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ საქმეების განხილვა უდავო წარმოების წესით განპირობებულია სამოქალაქო უფლებათა ისეთი ობიექტის სპეციფიკით, როგორცაა ფასიანი ქაღალდები. ფასიანი ქაღალდი ეწოდება კანონით დადგენილი სათანადო ფორმით გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს რაიმე უფლებას და ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ თვით ამ ფასიანი ქაღალდის წარდგენის გზით. ფასიანი ქაღალდის გადაცემა იწვევს მისით განპირობებული ყველა უფლების გადასვლას.

ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: თამასუქი, ჩეკი, სადეპოზიტო და საშემნახველო სერთიფიკატები, საბანკო საშემნახველო წიგნაკი, კონოსამენტი, აქცია, საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდები, სასაწყობო მოწმობა და სხვა დოკუმენტები, რომელიც ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის თანახმად, ანდა მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით, მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების რიცხვს.

სამოქალაქო კანონმდებლობა შემთხვევით არ გამოყოფს საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებსა და საორდერო ფასიან ქაღალდებს, მიუ-

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998 წ.

თითებს რა მათზე უფლების აღდგენის სასამართლო ფორმაზე. ამ ფასიან ქალაქებს უდიდესი ბრუნვაუნარიანობა გააჩნიათ. უფლების აღდგენა ნებისმიერ ფასიან ქალაქზე განსაზღვრული ზარისხმოდ წინააღმდეგობაში მოდის სასაქონლო ბრუნვასთან, ხელს უშლის მისი მნიშვნელობის უფლებების განხორციელებას, რომელიც ფასიანი ქალაქების ფაქტობრივ მფლობელებს წარმოადგენენ. ამ მიზეზით ზოგიერთ ფასიან ქალაქზე შესაძლებელია ვინდიკაციის შეზღუდვა მისი მფლობელის მიმართ. ასე მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს კეთილსინდისიერი შემძენისაგან ფული, ფასიანი ქალაქები ანდა აუქციონზე გასხვისებული ნივთები<sup>1</sup>.

სასამართლოს მეშვეობით უდავო წარმოების წესით დაკარგულ ფასიან ქალაქებზე უფლების აღდგენა ხასიათდება იმით, რომ აქ ხდება ფასიან ქალაქებზე ყველა საგარაუდო სუბიექტის როგორც ქონებრივი, ისე ვალდებულებითი უფლებების გათვალისწინება და დაცვა.

პირს, რომელმაც დაკარგა საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქალაქი, შეუძლია მოითხოვოს მასზე უფლებს აღდგენა უდავო წარმოების წესით, თუკი მისთვის ცნობილი არ არის საბუთის ხელთმქონე, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიტანება ჩვეულებრივი სარჩელი ქონების გამოთხოვის შესახებ. არ წარმოიშობა გამოწვევითი წარმოების საჭიროება სახელობითი ფასიანი ქალაქის დაკარგვის შემთხვევაში, რამეთუ მისი აღდგენა საერთო წესის მიხედვით ხორციელდება ფასიანი ქალაქების რეესტრის მწარმოებლის მიერ. მაგალითად, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აწარმოოს საზოგადოების ყველა დოკუმენტის აღრიცხვა (საზოგადოების წიგნი), რომელშიც აისახება საზოგადოების წესდება, აღრიცხება რეგისტრაციისათვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია და ყოველი აქცია. თუ აქციები გაცემულია სააქციო ბარათის სახით, მაშინ საზოგადოების წიგნში უნდა აღინიშნოს გაცემის თარიღი, ნომინალური ღირებულება და სააქციო ბარათის ნომერი. თუ არ არის სააქციო

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამოცემულია „სამართალი“, თბილისი, 1997, გვ. 56.



ბარათები გაცემული, მაშინ საზოგადოების წიგნში რეგისტრაცია ცუ-  
ლის სააქციო ბარათს. ამ შემთხვევაში, აქციები სახელობით აქციებად  
უნდა გაიყოს<sup>1</sup>.

ფასიანი ქალაქის დაკარგვაში იგულისხმება ან მთლიანად მასი  
დაკარგვა, ანდა მისი საგადამხდელო თვისებების დაკარგვა.

დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქებზე ან საორდერო ფასიან  
ქალაქებზე უფლებების აღდგენის წესი გამოიყენება როგორც თვითონ  
ამ დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევაში, ისე იმ შემთხვევებშიც,  
როდესაც ამ დოკუმენტებმა დაკარგეს გადახდისუნარიანობის ნიშნები  
არაჯეროვნად შენახვის ანდა სხვა მიზეზების შედეგად, მაგალითად,  
შემნახველ წიგნაკში წაიშალა აღნიშვნა სალაროში დარჩენილი თანხის  
რაოდენობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის  
მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ განცხადება დაკარგულ საწარმდგენ-  
ლო ფასიან ქალაქზე, ან საორდერო ფასიან ქალაქზე შეტანილი  
უნდა იქნეს სასამართლოში, საბუთის გამცემი დაწესებულების ადგილმ-  
დებარეობის მიხედვით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს დაკარგული  
საბუთის განმასხვავებელი ნიშნები, საბუთის გამცემი დაწესებულების  
სახელწოდება, აგრეთვე საბუთის დაკარგვის გარემოებანი.

დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქზე ან საორდერო ფა-  
სიან ქალაქზე უფლების აღდგენის შესახებ განცხადება საერთო რე-  
კვიზიტებთან ერთად უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებსაც, რომელიც  
დამახასიათებელია მხოლოდ ამ კატეგორიის საქმეებისათვის. სახელ-  
ლობრ, მასში აუცილებლად უნდა იქნეს ჩამოთვლილი დაკარგული  
დოკუმენტის დამახასიათებელი თვისებები. ეს იძლევა იმის საშუალე-  
ბას, რომ დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა იგი ფასიან ქალაქს და  
მიეკუთვნება თუ არა იმ კატეგორიის ქალაქებს, რომლებზეც უფლებ-  
ის აღდგენა ხორციელდება სასამართლო წესით.

<sup>1</sup> ლადო ჭინტურია, თედო ნინიძე. „მეწარმეთა შესახებ კანონის“ კომენტარები. თბილისი,  
„ნორმა“, 1996 წ. გვ. 238.

სასამართლო პრაქტიკაში დოკუმენტის განმასხვავებელ ნიშნად უფრო ხშირად მითითებულია: საშემნახველო წიგნაკის ანგარიშის ნომერი, საკონტროლო ტალონის ნომერი, ანაბრის შეტანის თარიღი, თარიღი, თანხა და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი მოითხოვს უფლების აღდგენას ისეთ დოკუმენტზე, რომელსაც დაკარგული აქვს გადახდისუნარიანობის ნიშნები, მან თან უნდა დაუროთ ეს დოკუმენტი განცხადებას და აღნიშნოს განცხადებაში ის მიზეზები, რომელთა გამოც დოკუმენტი უვარგისი გახდა.

საკმარისია თუ არა განცხადებაში აღნიშნული მონაცემები, განსაზღვრავს თვით მოსამართლე. ისინი წინასწარი ხასიათისაა, რამეთუ ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებანი, იცავენ რა ანაბრის საიდუმლოებას, არავითარ ინფორმაციას არ იძლევიან მათთან არსებული ანაბრების შესახებ სამოქალაქო საქმის აღძვრამდე.

თუკი განცხადება არ შეიცავს სსსკ 329-ე მუხლში აღნიშნულ რეკვიზიტებს, სასამართლო მიცემს განმცხადებელს ვადას ნაკლის აღმოსაფხვრელად. თუკი განმცხადებელი მიცემულ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზებს, მაშინ მოსამართლე მას უარს ეტყვის განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე განცხადების მიღების შემდეგ გამოიტანს განჩინებას, საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის (პირისათვის) ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვის, აგრეთვე განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის შესახებ.

ასეთი პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის შესახებ;
- ბ) განმცხადებლის დასახელებასა და მის საცხოვრებელ ადგილს;
- გ) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს;
- დ) წინადადებას იმ საბუთის ხელთმჭონის მიმართ, რომლის დაკარგვის შესახებაც შეტანილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღიდან სამი

თვის განმავლობაში შეიტანოს განცხადება სასამართლოში ამ საბუთზე თავისი უფლების შესახებ (სსსკ 331-ე მუხლი).

დაკარგულ საწარმოებში ფასიან ქალაქში ან სასამართლოში დაკარგულ ქალაქში უფლების აღდგენის შესახებ საქმეებს, რომელიც განიხილება გამოწვევითი წარმოების წესით, გააჩნია თავისებურებანი. ერთ-ერთი ასეთი თავისებურებაა ის, რომ ფასიანი ქალაქის ხელთქონე უცნობია. ამიტომაც ხდება სასამართლოს განჩინებით განმცხადებლის სარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის გამოქვეყნება.

მეორე თავისებურებას წარმოადგენს, საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის (პირისათვის), ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვა. განჩინება აკრძალვის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი მოსამართლის მიერ, განცხადების მიღების შემდეგ და მისი ასლი მაშინვე გადაეგზავნოს შესაბამის დაწესებულებას (პირს), რომლისთვისაც სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება სავალდებულოა.

გამოწვევითი წარმოების აღძვრის შესახებ დაკარგული საბუთის ხელთქონე გეზულობს პუბლიკაციის მეშვეობით. ამიტომაც პუბლიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს დაკარგული საბუთის ხელთქონის უფლებების დასაცავად. პუბლიკაცია ხორციელდება ადგილობრივ პრესაში. ის შეეხება ფასიანი ქალაქის ყველა ხელთქონეს, მისი შეძენის საფუძვლის მიუხედავად.

კანონი იძლევა იმ ცნობების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა შეიცავდეს პუბლიკაცია.

უზენაეს სასამართლოს პლენუმმა, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად ყურადღება გაამახვილა სასამართლოთა არასწორ პრაქტიკაზე, რომლებიც პრესაში პუბლიკაციის გამოქვეყნებისას, ერთდროულად მიუთითებენ მასში, რომ დაკარგული დოკუმენტი სასამართლოს მიერ ბათილად არის ცნობილი. ასეთ დასკვნამდე კი, სსსკ 334-ე მუხლის თანახმად, სასამართლო შეიძლება მივიდეს იმ შემთხვევაში, თუკი პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვასვლის შემდეგ, საბუთის ხელთქონე არ განაცხადებს საბუთზე თავისი უფლე-

ბების შესახებ და სასამართლო საქმეს განიხილავს არსებითად.  
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის თანახმად, იმ საბუთის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებაც განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან შეიქმნოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და, ამასთან ერთად, წარადგინოს საბუთის დედანიც<sup>1</sup>.

ფასიანი ქაღალდის ხელთმქონე ვალდებულია, სამი თვის ვადაში განაცხადოს სასამართლოში თავისი უფლების შესახებ და წარმოადგინოს დოკუმენტის დედანი. იგი სასამართლოში გამოიძახება იმისათვის, რათა გამორკვეული იქნეს მისი დამოკიდებულება იმ პირთან, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება დაკარგულ ფასიან ქაღალდზე. ამასთან ერთად, სასამართლოში საბუთის ხელთმქონის პირადი გამოცხადება არ არის სავალდებულო, მას შეუძლია წერილობით შეატყობინოს სასამართლოს, რომ ასეთი საბუთი მასთანაა და წარუდგინოს სასამართლოს მისი ორიგინალი.

კანონში არ არის მითითებული საბუთის ხელთმქონის მიერ საბუთის ჯეროვნად დამოწმებული ასლის წარდგენის შესაძლებლობა. ვფიქრობთ, რომ საბუთის ხელთმქონეს უფლება აქვს წარადგინოს ასეთი ასლი, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში, პუბლიკაციის გამოკვეფებიდან სამთვიანი ვადის გასვლამდე მის მიერ დოკუმენტზე თავის უფლების განცხადების ვალდებულების შესრულება შეიძლება გართულდეს ანდა სულაც ვერ შესრულდეს. მაგალითად, მის მიერ სადავო ფასიანი ქაღალდი გადაცემულია შესანახად ან დაგირავებულია. წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობის თაობაზე ეჭვებს აქ არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა, რამეთუ, დოკუმენტზე თავისი უფლებების შესახებ განცხადების, ასევე თვით დოკუმენტის წარდგენა, მხოლოდ იმის წინამძღვარია, რომ სასამართლოს მიერ დადგინდეს ფასიანი ქაღალდის მფლობელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998 წ.

თანახმად, თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის გასვლამდე შეიტანა სასამართლოში განცხადება, სასამართლო განცხადებას საბუთის დაკარგვის შესახებ განუხილავად დატოვებს და დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიაც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს აწარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა. ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. იმავედროულად, სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას, აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ საერთო წესით იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთაქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს – მის უფლებას, გადაახდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებებით<sup>1</sup>.

განსხვავებით უდავო წარმოების წესით განსაზღვრული სხვა კატეგორიის საქმეებისაგან, დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაღდზე და საორდერო ფასიან ქალაღდზე უფლების აღდგენის შესახებ საქმეებზე, კანონი ავალდებულებს მოსამართლეს განცხადების განუხილველად დატოვებასთან ერთად დაადგინოს ის ვადაც, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს ამ საბუთით გადახდისა და გადაცემის წარმოებას. ამასთან, მეორე მხრივ, ფასიან ქალაღდზე დადგენილ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს საბუთის ხელთმქონისათვის. სსსკ 333-ე მუხლის მე-2 პუნქტით სასამართლო განუმარტავს საბუთის ხელთმქონეს მის უფლებას, გადაახდევინოს განმცხადებელს აკრძალვის ღონისძიებებით გამოწვეული ზარალი.

იმის გამო, რომ საბუთის ხელთმქონისადმი სარჩელის წაყენება ადასტურებს სასარჩელო წარმოების აღძვრას, ამიტომაც უდავო წარმოებისათვის გათვალისწინებული გამონაკლისები არ მოქმედებს. საქმე განიხილება განსჯადობის საერთო წესებით, ანუ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმეს დაკარგული საბუთის ბათილად ცნობის შესახებ სასამართ-

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998 წ.

ლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუკი საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა სსსკ 332-ე მუხლში აღნიშნული ვანცხადება.

თუკი პუბლიკაციაში აღნიშნულ სამთვიან ვადაში საბუთის ხელთმქონე არ გამოცხადდება სასამართლოს გამოძახებაზე, სასამართლო დანიშნავს საქმის განხილვის დღეს განმცხადებლისა და საბუთის გამცემი დაწესებულების (პირის) მონაწილეობით.

საბუთის ხელთმქონის მიერ საბუთზე თავისი უფლების შესახებ განცხადებით მიმართვის სამთვიანი ვადა გამოითვლება არა განცხადების შეტანის, ანდა პუბლიკაციაზე განჩინების გამოტანის მომენტიდან, არამედ ამის შესახებ შეტყობინების, გაზეთში პუბლიკაციის მომენტიდან. ამ ვადის დაწყების მომენტი იმ გაზეთის გამოსვლის თარიღი, რომელშიც მოთავსებულია პუბლიკაცია საბუთის ხელთმქონის სასამართლოში გამოძახების შესახებ.

საქმე განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების საერთო საფუძვლებით. სასამართლო სხდომაზე იმ პირთა გამოუცხადებლობა, რომელნიც ჯეროვნად იყვნენ გაფრთხილებული საქმის მოსმენის დღის შესახებ, არ დააბრკოლებს საქმის განხილვას. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის მიერ დოკუმენტი სრულიად არის დაკარგული და მისი კუთვნილება უნდა დადგინდეს სხვა ნიშნებით, ასეთ შემთხვევაში, დოკუმენტის გამცემი დაწესებულების (პირის) წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.

განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ბათილად ცნობს დაკარგულ საბუთს. ეს გადაწყვეტილება უფლებას აძლევს განმცხადებელს მიიღოს ანაბარი ან ახალი საბუთი ბათილად ცნობილი საბუთის ნაცვლად. მაგალითად, სასაქონლო საწყობში შესანახად ჩაბარებულ ნივთებზე ახალი სასაწყობო მოწმობა.

საბუთის ხელთმქონის გამოუცხადებლობა კანონით დადგენილ სამთვიან ვადაში თავისთავად წარმოადგენს იმის მტკიცებას, რომ დაკარგული დოკუმენტი ნამდვილად ეკუთვნის განმცხადებელს. ამიტომაც სასამართ-

ლომ უნდა შეამოწმოს მტკიცებულებები, რომელმაც შეიძლება დაადახტუროს განმცხადებლის უფლებები დაკარგულ დოკუმენტზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება გამოწვევითი წარმოების საქმეებზე, უნდა შეესაბამებოდეს სსსკ 249-ე მუხლის მოთხოვნებს: ამ გადაწყვეტილებით, დაკარგული საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდი ცნობილი იქნება ბათილად. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო მიუთითებს ბათილად ცნობილი დოკუმენტის დამახასიათებელ ნიშნებს და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების (პირის) ვალდებულებას, მოახდინოს მისი შეცვლა. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, იგი იმის საფუძველია, რომ განმცხადებელმა მიიღოს ანაბარი ან ახალი საბუთი ბათილად ცნობილი საბუთის ნაცვლად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 336-ე მუხლის თანახმად, საბუთის ხელთქონეს, რომელსაც რაიმე მიზეზით დროულად არ განუცხადებია თავისი უფლება ამ საბუთზე, დაკარგული საბუთის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, შეუძლია აღძრას სარჩელი ქონების უსაფუძვლოდ შეძენის ან დაზოგვის შესახებ იმ პირის მიმართ, რომელსაც დაკარგულის ნაცვლად მიენიჭა ახალი საბუთის მიღების უფლება.

თუკი საბუთის ხელთქონეს, რომელმაც რაიმე მიზეზით თავისდროულად ვერ განაცხადა ამ დოკუმენტზე უფლების შესახებ, სურს დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები, მაშინ მას სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, შეუძლია წაუყენოს იმ პირს, რომელსაც მიენიჭა დაკარგულ დოკუმენტზე უფლება, სარჩელი უსაფუძველო გამდიდრების შესახებ. საბუთის ხელთქონის უფლებები და ინტერესები შეიძლება დაცულ იქნეს ხანდაზმულობის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 337-ე მუხლის თანახმად, განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ სასამართლოში შეაქვს იმ პირს, რომელიც დაეუფლა ქონებას ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის, ან იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

უპატრონო ნივთები ისეთი ნივთებია, რომლებსაც არ გააჩნიათ მესაკუთრე, ანდა მესაკუთრე უცნობია, ანდა ისეთი ნივთი, რომლის უწინდელმა მესაკუთრემაც საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით ნივთის მფლობელობა მიატოვა. უპატრონო ნივთებს მიეკუთვნება ნაპოვარი, უმეთვალყურეო ცხოველები, განძი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 191-192-ე მუხლები), ხოლო სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად კი, უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების მისატოვებლად აუცილებელია უფლებამოსილი პირის განცხადება ამ უფლების მიტოვების შესახებ და ამ განცხადების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. განცხადება უნდა ჩაბარდეს რეესტრის სამსახურს. მხოლოდ ამის შემდეგ იძენს უფლების მიტოვების განცხადება სავალდებულო ძალას.

ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს: რომელი ქონება უნდა იყოს ცნობილი უპატრონოდ, როგორია ამ ქონების განმასხვავებელი ნიშნები, მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის მიერ ქონების მიტოვებას ამ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნების განზრახვის გარეშე; აგრეთვე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი დაეუფლა ისეთ ქონებას, რომლის მითვისებაც კანონით არ იკრძალება, ან არ ირღვევა იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა.

სასამართლოში შეტანილ განცხადებაში ზუსტად უნდა იქნეს მითითებული თუ რომელი ქონება უნდა იქნეს ცნობილი უპატრონოდ, ვის მიერ და როდის არის გამოვლენილი, როდის არის აყვანილი აღრიცხვაზე პოლიციის ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ და მტკიცებულებანი, რომ ამ ქონებას არ ჰყავს მესაკუთრე ანდა იგი



უცნობია, ანდა შესაკუთრემ საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით მატრო-  
ვა ნივთის მფლობელობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად,  
დაკარგული ნივთის მპოვნელმა დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს ამის  
შესახებ ნივთის დამკარგავს, უფლებამოსილ პირს, ან, თუ მათი ვინაობა  
უცნობია – პოლიციას ან სხვა ადგილობრივ ორგანოს და გადასცეს ეს  
ნივთი.

განცხადების გაკეთებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მპოვნელი  
იძენს საკუთრებას ნაპოვარზე, იმ შემთხვევების გარდა, როცა მისთვის  
ცნობილი გახდება შესაკუთრე, ან შესაკუთრის უფლება ნივთზე პოლი-  
ციაში უკვე გაცხადებული იყო. საკუთრების უფლების მოპოვებასთან  
ერთად ქარწყლდება ყველა სხვა უფლება ამ ნივთზე.

თუ უფლებამოსილი პირი იბრუნებს ნივთს, მპოვნელს შეუძლია  
მოსთხოვოს მას ჯილდო (საპოვნელი) ნივთის ღირებულების ხუთ პრო-  
ცენტამდე. გარდა ამისა, მპოვნელს შეუძლია მოსთხოვოს უფლებამო-  
სილ პირს ან სათანადო ორგანოს ნივთის შენახვის ხარჯების ანაზღაუ-  
რება.

თუ მპოვნელი უარს განაცხადებს საკუთრებაზე, კომპეტენტურ  
ორგანოს შეუძლია ერთი წლის შემდეგ ნივთი აუქციონზე გაყიდოს და  
მოგება მიიღოს, ან თუ ლაპარაკია დაბალი ღირებულების ნივთზე,  
უსასყიდლოდ გაასხვისოს ან გაანადგუროს იგი.

თუ ნაპოვნია ცხოველები, მალფუჭადი ან ისეთი ნივთები, რომელთა  
შენახვაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაშინ ერთწლიანი ვადა არ გამოიყ-  
ენება, ხოლო შესაკუთრეს უბრუნდება მათი განსხვისებით მიღებული  
თანხა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის  
თანახმად, განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ  
გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადა-  
წყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ.

ბ) განმცხადებლის ვინაობას.

გ) იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს.  
დ) მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ქონებით პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში.

განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ შეიტანება სასამართლოში იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც დაუფულა ქონებას, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია, განცხადება შეიტანება სასამართლოში მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

პუბლიკაციაში უნდა აღინიშნოს განმცხადებლის ვინაობა (გვარი, სახელი, საცხოვრებელი ადგილი, თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სხვა), ასევე დეტალურად უნდა აიწეროს ის ქონება, რომელიც ცნობილ უნდა იქნეს უპატრონოდ (ქონების განმასხვავებელი ნიშნები და სხვა), ასევე უნდა შეიცავდეს მოთხოვნას უპატრონოდ გამოცხადებული ქონების სავარაუდო მესაკუთრის ან მფლობელის მიმართ, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში ქონებაზე თავიანთი უფლებების შესახებ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის განმავლობაში.

თუკი პუბლიკაციის გამოქვეყნების დღიდან 3 თვის შემდეგ სასამართლოში შევა განცხადება ქონებაზე უფლებების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შევა განცხადება ქონებაზე უფლებების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს უნდა გამოირკვეს, ხომ

არ ეკუთვნის ქონება გარდაცვლილ ან გარდაცვლილად გამოცხადებულ იმ პირს, რომელსაც არა ჰყავს მემკვიდრეები, ანდა მოცემული პირის ყველა მემკვიდრემ უარი განაცხადა სამკვიდროს შედეგადად. უნდა მონადირემ ყველა მემკვიდრეს ჩამოართვა სამკვიდროს მემკვიდრეობა, ასეთ შემთხვევაში ნივთი არ შეიძლება ცნობილ იქნეს უპატრონოდ და იგი სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის საფუძველზე მემკვიდრეობის უფლებით გადადის ზაზინაზე. უპატრონოდ არ ჩაითვლება ასევე

ზო-უკვლოდ აღიარებული პირის ქონება. ასეთი ქონება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომლითაც პირი აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, სამართავად გადაეცემა მის მემკვიდრეებს მინდობილი საკუთრების სახით.

ნივთის კუთვნილების დადგენის მიზნით მოსამართლემ შეიძლება გაუგზავნოს შეკითხვები სხვადასხვა ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს.

თუკი საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს, გამოჩნდება პირი, რომელიც განაცხადებს უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე თავის საკუთრების უფლებას, ასეთ შემთხვევაში მოსამართლე განუზილველად დატოვებს განცხადებას და განუმარტავს დაინტერესებულ პირებს მათ უფლებას — წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძველებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო ცნობს, რომ ქონებას არა ჰყავს მემკვიდრე, ან ეს ქონება მიტოვებულია მესაკუთრის მიერ იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, მას გამოაქვს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დაეუფლა ამ ქონებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს სსრკ 249-ე მუხლის მოთხოვნებს.

თუკი სასამართლოში საქმის განხილვის დროს აღმოჩნდება, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებანი, რომელიც ადასტურებს, რომ ნივთს არ ჰყავს მესაკუთრე, ან მისი მესაკუთრე უცნობია, ასეთ შემთხ-

ვევაში სასამართლომ შეიძლება უარი განაცხადოს განცხადების დაკმაყოფილებაზე.

თუკი საქმის განხილვის დროს სასამართლო მივა იმ დასკვნას რომ ქონებას არ ჰყავს მესაკუთრე, ანდა მისი მესაკუთრე უცნობია, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს შესაბამისი ფაქტები და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ უნდა აღნიშნოს, თუ რომელი ქონებაა ცნობილი უპატრონოდ (მისი დასახელება, ადგილმდებარეობა, დამაზასიათებელი ნიშნები, პარამეტრები და სხვა) და ვის გადაეცა იგი.

თუკი რაიმე მიზეზის გამო დაინტერესებულმა პირმა თავის დროზე არ განაცხადა უპატრონოდ ცნობილ ქონებაზე თავისი უფლების შესახებ, მაშინ მას შეუძლია განაცხადოს ასეთი მოთხოვნა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 342-ე მუხლის თანახმად, განცხადება საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციის შესახებ შეიტანება სასამართლოში ინდივიდუალური მეწარმის, საზოგადოების ან კავშირის იურიდიული მისამართის მიხედვით.

საწარმო პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობაა. საწარმოს მიეკუთვნება ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც. გარდა ამისა, მას განეკუთვნება არამატერიალური ფასეულობანი, ფაქტობრივი ურთიერთობანი, საწარმოო საიდუმლოებანი. საწარმოს ცნება მოიცავს ასევე მატერიალურ ფასეულობებსა (მაგალითად, მიწის ნაკვეთები, ძირითადი საშუალებები, ქარხნები, ფაბრიკები, საქონელი და ა.შ.) და უფლებებს (კერძოდ, მოთხოვნები, პატენტები, სასაქონლო ნიშნები და ა.შ.), აგრეთვე ვალდებულებებს.

საწარმო სამეწარმეო საქმიანობაში მეწარმეთა ორგანიზაციის უნივერსალური ფორმაა. იგი ერთდროულად არის როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ისე ობიექტიც<sup>1</sup>.

მეწარმეთა შესახებ კანონი, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლის 28 ოქტომბერს (ძალაშია 1995 წლის 1-ლი მარტიდან), განამტკიცებს საწარმოთა ექვს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს), კოოპერატივი<sup>2</sup>.

ინდივიდუალური საწარმო არის ერთი პირის, როგორც დამოუკიდებელი ფიზიკური პირის, სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ფორმა. ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი. ამ შემთხვევაში მეწარმე გამოდის, როგორც ფიზიკური პირი, თავისი საკუთარი საზ-

<sup>1</sup> ლალო ჭანტურია, თედო ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ კანონის“ კომენტარები. თბილისი, „ნორმა“, 1996, გვ. II-12.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 15.

ლით. ფიზიკური პირის არაყოველღვარი საქმიანობა ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად. ფიზიკური პირის სამეწარმეო საქმიანობად ჩაითვლება „სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწოდებული საკასო და საბუღალტრო საქმე“. ეს გულისხმობს შემდეგს: ფიზიკური პირი რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში. ამისათვის საკმარისია გვარისა და სახელის ჩაწერა და აღნიშვნა, რომ პირი არის ინდივიდუალური მეწარმე. მას უნდა ჰქონდეს სათანადო საბუღალტრო იან წერები.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი, ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით (მეწარმეთა შესახებ კანონის მე-20 მუხლი).

მეწარმეთა შესახებ კანონის 34-ე მუხლის თანახმად, საზოგადოება, რომელშიაც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზღვადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდაზე შემოიფარგლება (კომანდიტობი), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პირები – კომპლემენტარები).

საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი ქონებით, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (მუხლი 44-ე).

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებზე დაყოფილი საწესდებო კაპიტალი (მუხლი 51-ე).

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესე-

ბის დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოკვების მიღებაზე (მუხლი 60-ე).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კავშირი არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებისაგან. კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ხუთი დამფუძნებელი წევრი მაინც.

საწარმოს რეგისტრაციის შესახებ განცხადება უნდა პასუხობდეს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5.4 მუხლის მოთხოვნებს, სახელდობრ, იგი უნდა შეიცავდეს: 1) საფირმო სახელწოდებას; 2) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას; 3) ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს); 4) საქმიანობის საგანს; 5) მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ; 6) ინდივიდუალური მეწარმის ან ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის (კოოპერატივის შემთხვევაში არანაკლებ ორის) სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიას და საცხოვრებელ ადგილს; 7) წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.

კომანდიტური საზოგადოებისათვის განცხადებაში დამატებით საჭიროა მიეთითოს ყოველი კომანდიტის შესატანის ოდენობა და წარმოდგენილ იქნეს საბუთი შეტანილი თანხის შესახებ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივისათვის საჭიროა, რომ განცხადება დამატებით შეიცავდეს: ა) საწესდებო კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ; ბ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, შესაბამისად წილი; გ) ყოველი დირექტორის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი; დ) დოკუმენტები დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუკი ასეთი არსებობს) წევრების დანიშვნის შესახებ<sup>1</sup>.

საზოგადოების განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) საზოგადოების წესდება;

<sup>1</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, გამომცემლობა „სამართალი“, 1997 წ.

ბ) არაფულადი შესატანის დაფუძნებისას - შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი;

გ) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ყველა პირის (საქმიანთა) შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ მიმართ არ ყოფილა გამოყენებული სასჯელი ქონებრივი დანაშაულისათვის.

დ) შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისათვის - დოკუმენტები დირექტორების დანიშვნის შესახებ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას - მისი წევრების დანიშვნის შესახებ.

განცხადება კავშირის რეგისტრაციის შესახებ უნდა პასუხობდეს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინ, როცა წესდება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და რეგისტრაციისათვის წარდგენილი იურიდიული პირის მიზნები არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს.

რეგისტრაციისათვის აუცილებელია ყველა დამფუძნებლისა და ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება და წესდება. კავშირის რეგისტრაციისათვის აუცილებელი მასალები წარედგინება კავშირის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს. კავშირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი.

კავშირის წესდება უნდა შეიცავდეს:

ა) საქმიანობის მიზნებს;

ბ) სახელწოდებას;

გ) ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);

დ) ქონების ლიკვიდაციისა და განაწილების წესს;

ე) კავშირის დამფუძნებლების, გამგეობის ყველა წევრის სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს, გამგეობის სხდომების დანიშვნისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესებს;



ვ) კავშირის წვერთა უფლებამოსილებებს.

წესდება შეიძლება კაცავდეს სხვა მონაცემებსაც, სახელდობრ:

ა) მმართველობისა და კონტროლის სხვა ორგანოების ფუნქციებს;

ბ) კავშირის წვერთა კრების უფლებამოსილებას.

სასამართლო ვალდებულია საწარმოს რეგისტრაცია განახორციელოს საჭირო საბუთების წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში, ხოლო კავშირის რეგისტრაცია – განცხადების შეტანიდან 1 თვის ვადაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდა, ან განმცხადებელს არ ეცნობა მოტივირებული უარი რეგისტრაციის შესახებ, საწარმო (კავშირი) ჩაითვლება რეგისტრირებულად და სასამართლო ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნისთანავე გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა.

იმ პირობებში, როცა სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატი, მისი მოხელეები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას სამართლის წინაშე, აუცილებელია შეწარმეთათვის იმ ბარიერების მოშლა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ სამეწარმეო საქმიანობას. ერთერთ ასეთ გარანტიას ითვალისწინებს სსსკ 344-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლომ საწარმოს რეგისტრაცია უნდა განახორციელოს განცხადების შეტანიდან 15 დღის განმავლობაში. თუკი ამ ვადაში არ განხორციელდა რეგისტრაცია, ამის შესახებ უნდა ეცნობოს განმცხადებელს და მიეთითოს ის საფუძველი, რის გამოც არ გატარდა საწარმო რეგისტრაციაში. თუ სასამართლომ არ შეატყობინა განმცხადებელს, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად, არასწორად რეგისტრაციის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება სასამართლოს.

კავშირის რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შეტყვევ მონაცემებს: იურიდიული პირის სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს, საქმიანობის მიზანს, წესდების მიღების თარიღს, დამფუძნებლების ვინაობას, გამგეობის წვერთა ვინაობასა და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შესახებ შეზღუდვებს. რეგისტრაციის მონაცემები უნდა გამოქვეყნდეს. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს რეგისტრაციის ჩანაწერებს და მოითხოვოს წერილობითი ამონაწერები.

თუ საწარმოს ან კავშირის რეგისტრაციის განცხადება, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები არ უპასუხებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ანდა არ არის გადახდილი შესაბამისი ბაჟი, სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომ განცხადებას არ მიუცეს მსვლელობა, რასაც აცნობებს განმცხადებელს და მისცემს მის ვადას ხარვეზის შევსებისათვის.

თუკი მოცემულ ვადაში ხარვეზი გამოსწორებულ იქნება, განცხადება შეტანილად ითვლება სასამართლოში მისი პირველადი შეტანის დღიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, განცხადება შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება განმცხადებელს.

სასამართლოს გადაწყვეტილება საწარმოს ან თუ კავშირის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და იგი შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ერთი თვეა. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და იგი იწყება განმცხადებლისათვის გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან.

სასამართლოებმა, პროკურატურის, პოლიციის, გამგეობის თანამშრომლებმა ან ნოტარიუსებმა უნდა შეატყობინონ სარეგისტრაციო სასამართლოებს არასწორი, არასრულფასოვანი ან საერთოდ, არშემდგარი რეგისტრაციის შემთხვევების შესახებ, რაც ცნობილი გახდა მათთვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლის თანახმად, თუ სამეწარმეო რეესტრში მოხდება რეგისტრაცია, რომელიც მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ უნდა მომხდარიყო, სასამართლოს, რომელმაც ასეთი რეგისტრაცია მოახდინა, შეუძლია გამოიტანოს განჩინება და თავისი ინიციატივით ამოშალოს იგი. რეგისტრაციის გაუქმება ხდება შესაბამისი განმარტების შეტანით.

განჩინების გამოტანამდე სასამართლომ უნდა შეატყობინოს სათანადო პირს რეგისტრაციის ამოშლის განზრახვის შესახებ და მისცეს მას ვადა შესაბამისი მოქმედების შესასრულებლად<sup>1</sup>.

სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველყოფა,

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998 წ.

რომელსაც მიზნად ისახავს რეგისტრაციის ინსტიტუტი, შეუძლებელია იმ ვარაუდის გარეშე, რომ რეგისტრირებული ფაქტები სწორია. ამიტომ, რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო თუ კავშირი განიხილება, როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა შეცდომით რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ცალკეული პირის არსებით ინტერესებს.

თუ რა ჩაითვლება არსებით ინტერესად, ეს კონკრეტული ფაქტის საკითხია და ამას სასამართლო პრაქტიკა უფრო დააზუსტებს. თუმცა, ზოგიერთი მაგალითი შეიძლება აქვე მოვიყვანოთ. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეგისტრაციაში შეცდომით გატარდა, როგორც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ე.ი. საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს არა მხოლოდ საზოგადოების ქონება, არამედ თითოეული პარტნიორი სოლიდარულად, სრულად, მთელი თავისი ქონებით. თუ დადგება შეცდომით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად რეგისტრირებული საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხი, და ის ფაქტი, რომ საზოგადოება სპს-ად იყო რეგისტრირებული, გახდა შესაძებ პირთან ხელშეკრულების დადების საფუძველი, შეიძლება ჩაითვალოს რომ რეგისტრაცია ეწინააღმდეგება არსებით ინტერესებს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ლალი კანტურია, თედო ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ კანონის“ კომენტარები, თბილისი, „ნორმა“, 1996 წ.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 349-ე მუხლის თანახმად, განცხადება შვილად აყვანის შესახებ შეიტანება სასამართლოში მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორც მშობელსა და შვილებს შორის.

სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.

შვილება არ შეიძლება რაიმე პირობით, ვადაზე მითითებით ან წარმომადგენლის მეშვეობით.

განცხადებაში შვილად აყვანის შესახებ მითითებული უნდა იყოს მონაცემები შვილად ასაყვანისა და მშვილებლის შესახებ, აგრეთვე გარემოებანი, რომელიც ადასტურებს რომ შვილება ხდება ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის.

მშვილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, იმ პირის გარდა, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება ან, რომელსაც ადრე ჰყავდა ნაშვილები, მაგრამ შვილება გაუუქმდა მის მიერ მშვილებლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო. მშვილებელი არ შეძლება იყოს ასევე პირი, რომელსაც ავადმყოფობის, მორალური ან სხვა პირადი თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები.

მეუღლეებს შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ. მეუღლეების გარდა, არ შეიძლება ერთი ბავშვი ორმა პირმა იშვილოს. თუ ბავშვი შვილად აყავს ერთ-ერთ მეუღლეს, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა.

ბა. ასეთი თანხაობა არ არის საჭირო, თუ მეორე მეუღლე აღიარებულია ქმედუნაროდ ან მეუღლეებს ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ საქორწინო ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ანდა მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია.

დაქორწინებული პირის შვილად აყვანისას აუცილებელია მისი მეუღლის თანხმობა.

მშვილბელი შვილად ასაყვანზე უფროსი უნდა იყოს თექვსმეტი წლით მაინც, პატივსადები მიზეზების არსებობისას სასამართლოს შეუძლია შეამციროს ასაკობრივი სხვაობა.

იმ ბავშვის გასაშვილებლად, რომელსაც მშობლები ჰყავს, აუცილებელია მათი თანხმობა. თანხმობა გაშვილებაზე უნდა გამოითქვას წერილობით. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შვილად აყვანისას, აუცილებელია დედის თანხმობა. მესამე პირის მიერ ასეთი ბავშვის შვილად აყვანის დროს, გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ მამამ შეიტანა განცხადება მამობის დადგენის, ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ.

იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც მეურვეობაში (მზრუნველობაში) იმყოფება, თუ მას მშობლები არა ჰყავს, აუცილებელია მეურვის (მზრუნველის) წერილობითი თანხმობა, ხოლო ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც საბავშვო დაწესებულებაში იმყოფება — საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობა. საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციამ ბავშვის აყვანისას უნდა გაარკვიოს, თანახმა არის თუ არა მშობელი ბავშვის გაშვილებაზე.

გაშვილებაზე მშობლის თანხმობა არ არის საჭირო, თუ იგი აღიარებულია ქმედუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც 10 წელი შეუსრულდა, დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე. ბავშვის თანხმობას არკვევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილბელის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილბელს თავის მშობლად თვლიდა, შვილება, როგორც გამონაკლისი, შეიძლება ასაყვანის თანხმობის გარეშე.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გამშვილბელს,

შვილად ამყვანსა და 10 წლის ასაკს მიღწეულ შვილად ასაყვანს უფლება აქვთ უარი განაცხადონ თანხმობაზე.

თუ სასამართლო ცნობს, რომ შვილად აყვანა შეესაბამება შვილად ასაყვანის ინტერესებს და ემსახურება მის კეთილდღეობას, გამოცანას გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ.

სასამართლო თავის გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ, მის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, რეგისტრაციისათვის გადაუგზავნოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს ამ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

შვილება ნამდვილია სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.



1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, გამომცემლობა სამართალი, 1998.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „სამართალი“, 1997.
3. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები“, გამომცემლობა „ნორმა“, 1996.
4. „Особенности рассмотрения отдельных категорий гражданских дел“, под редакцией М.К. Треушникова. М., 1995 г.
5. Гражданское процессуальное право России, Учебник, Под ред. М.С. Шакарян, М., Былина, 1996;
6. Учебник гражданского процесса, Под ред. М.К. Треушникова, М., 1996.
7. Хрестоматия по гражданскому процессу, М., Городец, 1996.
8. Чечот Д.М., Как защитить свое право. М., 1988.
9. Крючков Г.К. „Судебное установление юридических фактов“, М, 1996.
10. Schweir "Zivilprozessrecht" 1994.
11. G. Gornue et J. Foyer "Procedur Civile" Paris 1992.



I. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა ზოგადი დახასიათება .....	
II. უდავო წარმოების წესით განსახილველი ცალკეული კატეგორიის საქმეები .....	10
1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა .....	10
2. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება .....	27
3. მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება .....	35
4. დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდს ) ფასიან ქალაქდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება) .....	46
5. ქონების უპატრონოდ ცნობა .....	55
6. საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია .....	60
7. შვილად აყვანა (შვილება) .....	67
ლიტერატურა .....	70

გამომცემლობის რედაქტორი *მ. ჩიკვილაძე*  
 ტექრედატორი *ა. ნავროზაშვილი*  
 კორექტორი *მ. კილაძე*

ხელმოწერილია დასაბუქდად 9.03.2000  
 საბუქდი ქალაქდი 60X84 1/16  
 პირ.ნაბ. თაბაზი 4,5. სააღრ.-საგამომც.თაბაზი 3,25  
 შეკვეთა № 14 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო



766/24  
ქართული  
ენების ცენტრი

ДЗЛИЕРИШВИЛИ ЗУРАБ ГИВНЕВИЧ

**БЕССПОРНОЕ (ОСОБЕННОЕ)  
ПРОИЗВОДСТВО**

(По новому Гражданско-процессуальному  
кодексу Грузии)

Издательство „Меридиани“  
Тбилиси  
2000

ვაძომცემლობა „მერიდიანი“.  
თბილისი, აკ. წერეთლის 112

K 272.777

36359-11

36359-11